პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 293 (10687) | ოთხშაბათი, 19 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

## დროულად და სწორად შევადგინოთ კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშები

მთავრდება მეექვსე ხუთწლედის პირველი — 1956 წელი. ამ სამეურნეო წელს როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე საქართველოს სსრ რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით სერიოზული წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. შესამჩნევად განმტკიცდა კოლმეურნეობათა ეკონომიკა, გაიზარდა მათი ნატურალური და ფულადი შემოსავალი, რომელიც კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. საკმარისია ითქვას, რომ წელს სამ კვარტალში კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 მილიონი მანეთით გაიზარდა.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებისა და კოლმეურნეობების წინაშე დიდი პასუხსაგები ამოცანები დგას. ეს უწინარეს ყოვლისა არის კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების სწორად შედგენა, მათი განხილვა, დამტკიცება კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. ამ საქმის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მტს-ების მოქნილ, ორგანიზატორულ მუშაობაზე. მტს-ები ვალდებული არიან კონკრეტული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს და ყველა კოლმეურნეობაში უზრუნველყონ წლიური ანგარიშების დროულად და სწორად შედგენა.

წლიური ანგარიშების შედგენაში წინა წელთან შედარებით განსხვავება ის არის, რომ წლიური ანგარიშის ბლანკს დართული აქვს ცხრილები ერთ ცენტნერ პროდუქციაზე შრომისა და მატერიალურ, ფულად საშუალებათა გაანგარიშებისათვის. ეს რთული საქმეა. იგი მოითხოვს განსაკუთრებით გონივრულ ყურადღებას ადგილობრივი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან. მათ არ უნდა მოაკლონ მტს-ებსა და კოლმეურნეობებს ყოველდღიური საქმიანი დახმარება და ხელმძღვანელობა.

წლიური ანგარიშების შედგენისათვის კოლმეურნეობები მომარაგებული არიან საჭირო ინსტრუქციით და ფორმებით. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამას წინათ მოაწყო მტს-ების ყველა ინსტრუქტორ-ბუხჰალტრის, მოანგარიშის ოთხდღიანი თათბირ-სემინარი. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მტს-ის ხელმძღვანელობა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს უპასუხისმგებლოდ მოეკიდა. აღნიშნულ თათბირ-სემინარზე საანგარიშო დარგის არც ერთი მუშაკი არ გამოგზავნეს მცხეთის, ბოლნისის, სამგორის, მარნეულის, წითელხიდის მტს-ებმა (დირექტორები ა. კაჭარავა, ა. გრიგოლია, პ. კალანდარიშვილი, ე. ბაბასიანი და დ. მემარნიშვილი).

საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ წლიური ანგარიშის შედგენას მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ. საჭიროა ყველა მოსამზადებელი სამუშაო შესრულდეს კოლმეურნეობების გამგეობების მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. კოლმეურნეობებში უნდა მოეწყოს მოკლევადიანი სემინარები საანგარიშო დარგის მუშაკთათვის და მათ გაეწიოს კვალიფიციური ინსტრუქტაჟი.

აუცილებელია იანვრის პირველ რიცხვებში დამთავრდეს ინვენტარიზაცია. მტს-ებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს, საანგარიშო დარგის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ წლიური ანგარიშების შედგენის სამუშაოს დაწყებას ამთავითვე უნდა შეუდგნენ. საანგარიშო წლის დამთავრებამდე უნდა შემოწმდეს და შეივსოს მონაცემები კოლმეურნეობების მიწათსარგებლობაზე, ნათეს და აღებულ ფართობებზე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალზე მოსავლიანობის ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, კოლმეურნეობის ძალებით მიმდინარე წელს შესრულებულ უმნიშვნელოვანეს სამუშაოებზე, ფართობებზე შეტანილ სასუქებზე და სხვა მთელი რიგი მაჩვენებლების მონაცემები. ეს ხელს შეუწყობს წლიური ანგარიშების მოკლე ვადაში ხარისხიანად შედგენას.

ამ სამუშაოთა შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნით სარევიზიო კომისიებს. ისინი ვალდებული არიან ზუსტად შეამოწმონ მეურნეობის თვითეული დარგი, მაჩვენებლები, ნატურალური და ფულადი შემოსავალი, სახსრების ხარჯვა, შრომადღეების დარიცხვა, კოლმეურნეობების გამგეობების მთელი გაწეული მუშაობა საანგარიშო წლის განმავლობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებას, საკოლმეურნეო ფონდების შექმნას კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით, პროდუქტებისა და ფულადი შემოსავლის განაწილების საკითხებს. მათ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციისათვის.

როგორც გამორკვეულია, ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მეტად დიდია დებიტორული დავალიანება. განსაკუთრებით ეს ითქმის ზუგდიდის, წითელწყაროს, სიღნაღის, მახარაძის, ცხაკაიას და აფხაზეთის ასსრ რაიონებზე. ბევრგან ცუდი მდგომარეობაა წინა წლის შრომადღეებზე კუთვნილი ფულადი ანაზღაურების გაცემის საქმეში. დიდი თანხები აქვთ გასაცემი გასული წლის შრომადღეებზე თეთრი წყაროს, ტყიბულის, წითელწყაროს, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონების კოლმეურნეობებს. თუ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ახლავე არ მიიღეს საჭირო ზომები, ამ რაიონების კოლმეურნეობებში მეტად გართულდება წლიური ანგარიშების შედგენა და შეიძლება ეს საქმე ბევრგან ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.

საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ არასწორი პრაქტიკა კოლმეურნეთა ავანსირების საქმეში, რაც იმით გამოიხატა, რომ ბევრგან კოლმეურნეებზე ზედმეტად გაცემულია რამდენიმე მილიონი მანეთი. ასეთი შემთხვევა მომავალში არ უნდა გამეორდეს. ამ საქმისათვის მთელი პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა გამგეობებსა და საანგარიშო დარგის მუშაკებს ეკისრებათ.

იქ, სადაც ღრმად ჩასწვდნენ კოლმეურნეობების ეკონომიკას, გააჩაღეს ორგანიზატორული მუშაობა ყოველი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან პროდუქციის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის და თვითეული ცენტნერი პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებისათვის, მდგომარეობაც კარგი გვაქვს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თელავის რაიონის სოფელ კისისხევის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. საგანელიძე). თუ ამ კოლმეურნეობას 1955 წელს ერთი ცენტნერი ყურძნის მოყვანა დაუჯდა 4,01 შრომადღე და 21 მანეთი და 30 კაპიკი ფულად, 1956 წელს დაუჯდა 1,84 შრომადღე და 7 მანეთი და 54 კაპიკი. თვითეული ცენტნერი რძის წარმოებაზე დანახარჯები გასულ წელს 8,05 შრომადღეს, 8 მანეთსა და 15 კაპიკს შეადგენდა. წელს იგი შემცირდა 5,05 შრომადღემდე და 8 მანეთამდე.

მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ანგარიშს არ უწევენ თვითეული ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების ზრდას. ამის შედეგია ის, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში ერთი ცენტნერი რძის თვითღირებულებამ 1.000 მანეთს მიაღწია, ხოლო წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობას ერთი ცენტნერი ღორის ხორცი 647 მანეთი უჯდება. ასეთ ფაქტებს სხვა კოლმეურნეობებშიც ვხვდებით.

საჭიროა ამ მდგომარეობას ჩაუფიქრდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. ეს გათვალისწინებულ უნდა იქნას წლიური ანგარიშების შედგენის დროს, მით უმეტეს, როცა პროდუქციის ცალკე სახეების წარმოებაზე დანახარჯთა გაანგარიშება თვითეულ კოლმეურნეობას საშუალებას აძლევს გამოავლინოს ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები წარმოების დანახარჯთა შემცირებისა და საკოლმეურნეო პროდუქციის გაიაფებისათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ წლიური ანგარიშების დროულად და სწორად შედგენა დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება ამჟამად ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების სახელისა და ღირსების საქმეა.

## გორის რაიონის კოლმეურნეობებმა შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმა შეასრულეს

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა 11 დეკემბრისათვის შეასრულეს შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 430 ათასი ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარდა 433 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 13 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი. (საქინფორმი).

## ბრძანებულება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### მოსკოვის ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ ბოლო დროს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და განსაკუთრებით მეცხოველეობაში და მაღალ დონეზე აწარმოებენ თავიანთ მეურნეობას. რძის გამოსავალი 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 1955-1956 სამეურნეო წელს ოლქის კოლმეურნეობებში შეადგენს 220 ცენტნერს და საბჭოთა მეურნეობებში — 336 ცენტნერს. ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსკოვის ოლქმა წველადობის მხრივ ჩვენს ქვეყანაში პირველი ადგილი მოიპოვა. 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წლის 1 ოქტომბრამდე კოლმეურნეობებში მიღებულია 353 ათასი ტონა რძე ანუ 90 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასულ წელს. თვითეულ ძროხაზე კოლმეურნეობებში მიღებულია 2.712 კილოგრამი რძე და საბჭოთა მეურნეობებში — 3.446 კილოგრამი რძე.

ძროხების რაოდენობა საკოლმეურნეო ფერმებში გადიდდა და 1956 წლის 1 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებს ჰყავდათ ცხრა-ცხრა ძროხა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 268 ათასი ტონა რძე, 61 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ჩააბარეს და მიჰყიდეს გასულ წელს. რძის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა 1 დეკემბრისათვის შესრულებულია 129 პროცენტით.

1956 წლის 11 თვის განმავლობაში გასუქებიდან მოიხსნა 130 ათასი სული ღორი, ანუ 2,4-ჯერ მეტი, ვიდრე მთელი წინა სამეურნეო წლის განმავლობაში. ხორცის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა ყველა კატეგორიის მეურნეობებში ვადამდე შესრულდა.

100 ჰექტარ ხნულზე, მდელოსა და საძოვარზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მაღალი დონისა და სახელმწიფოსთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გადიდებისათვის **მოსკოვის ოლქი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 17 დეკემბერი.

## ბრძანებულება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### ვორონეჟის ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მიმდინარე წლის დამდეგს ვორონეჟის ოლქის მშრომლებმა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს მოუწოდეს გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება, რათა ვადამდე შეესრულებინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, სახელმწიფოსათვის მათი ჩაბარებისა და მიყიდვის გადიდების შესახებ.

მოკლე პერიოდში, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლო, ვორონეჟის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდად გაზარდეს ხორცის წარმოება, სახელმწიფოსათვის მისი ჩაბარება და მიყიდვა. ოლქის კოლმეურნეობებმა შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი და 1956 წლის 11 თვეში სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 54,6 ათასი ტონა ხორცი, ანუ 2,2-ჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ამასთან გადიდდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სულადობა.

დიდი შედეგებია მიღწეული რძის წარმოებისა და დამზადების გადიდებაში. ოლქის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გაეორკეცებინათ რძის წარმოება წელიწადნახევარში, ესე იგი 1957 წლის 1 აპრილისათვის. განვლილ სამეურნეო წელს რძის წარმოება უკვე გადიდდა 1,7-ჯერ, თვითეული ძროხის წველადობამ შეადგინა 2.407 კილოგრამი, ანუ 859 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1954-1955 სამეურნეო წელს. რძის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა, დაწესებული ოლქის ყველა კატეგორიის მეურნეობისათვის, შესრულებულია ვადამდე, 27 ივლისს, ხოლო 1 დეკემბრისათვის დამატებით ჩააბარეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს 100 ათასი ტონა რძე. მიმდინარე წლის 11 თვეში კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 193,7 ათასი ტონა რძე, შეასრულეს თითქმის ორი წლის გეგმა.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მათი ჩაბარების გადიდების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ვადამდე შესრულებაში გამოჩენილი ინიციატივისათვის და ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის **ვორონეჟის ოლქი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 17 დეკემბერი.

## კომუნიკე
### სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის მოლაპარაკების შესახებ და პოლონეთში დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის თაობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივი განცხადების შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1956 წლის 18 ნოემბერს, ვარშავაში გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის პოლონეთის ტერიტორიაზე დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციაში შედიოდნენ:

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეოთხე განყოფილების გამგე ა. ი. გორჩაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელშეკრულებო-სამართლებრივი განყოფილების გამგე გ. ი. ტუნკინი, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი ა. ი. შატოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელშეკრულებო-სამართლებრივი განყოფილების გამგის მოადგილე გ. ე. ვილკოვი, მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე კ. ნ. ნოვიკოვი.

გარდა ამისა, მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ როგორც ექსპერტები: პროფესორი ვ. ნ. დურდენევსკი, გენერალ-მაიორი ლ. მ. კრილოვი, პოლონეთში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ი. ვ. ბერნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი დ. ვ. ბიკოვი.

პოლონეთის დელეგაციაში შედიოდნენ:

საგარეო საქმეთა მინისტრი ა. რაპაცკი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ეროვნული თავდაცვის მინისტრი დივიზიის გენერალი მ. სპიხალსკი, ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე ი. ზაჟიცკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი ელჩი მ. ვერნა, პოლონეთის ჯარის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ბრიგადის გენერალი ზ. დუშინსკი, ფინანსთა სამინისტროს გენერალური დირექტორი ხ. კოტლიცკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კ. კოროლჩიკი.

გარდა ამისა, მოლაპარაკებაში როგორც ექსპერტები მონაწილეობდნენ: ბრიგადის გენერალი ი. ჯევეცკი, გენერალური პროკურატურის პროკურორი ვ. ვინავერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მ. ლობოდიჩი, იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ზ. ოპუშინსკი, პოლონეთის ჯარის პოლკოვნიკი ტ. პიურო, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსი დოქტორი ე. ოსეცკი.

ამ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრულ ვითარებაში და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, 1956 წლის 17 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება პოლონეთში დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით ხელშეკრულებას ხელს აწერენ: საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი და თავდაცვის მინისტრი გ. კ. ჟუკოვი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით ხელშეკრულებას ხელს აწერენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ა. რაპაცკი და ეროვნული თავდაცვის მინისტრი მ. სპიხალსკი.

ხელშეკრულების ხელის მოწერას დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. ოხაბი, ე. ალბრეხტი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წევრები და პოლონეთის ჯარის გენერალთა ჯგუფი.

ამავე დროს დაადგინეს, რომ ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლში მოხსენიებული განსაკუთრებული შეთანხმებანი დაიდება ხელმოწერილი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში.

ვარშავა, 17 დეკემბერი.

## ხელშეკრულება
### საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის პოლონეთში დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ ერთობლივი განცხადების შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1956 წლის 18 ნოემბერს, გადაწყვიტეს დადონ ეს ხელშეკრულება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ — **დ. ტ. შეპილოვი**, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი,

**გ. კ. ჟუკოვი**, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავდაცვის მინისტრი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ — **ა. რაპაცკი**, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი,

**მ. სპიხალსკი**, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რომელნიც სრულ წესრიგსა და სათანადო ფორმაში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემოაღნიშნულზე.

**მუხლი 1.**

საბჭოთა ჯარების დროებითი ყოფნა პოლონეთში ვერაფრით ვერ შებღალავს პოლონეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტს და ვერ გამოიწვევს მათს ჩარევას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

**მუხლი 2.**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების რიცხვი და მათი დისლოკაციის ადგილები განისაზღვრება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებულ განსაკუთრებულ შეთანხმებათა საფუძველზე.

2. საბჭოთა ჯარების ადგილგადანაცვლებისათვის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათი დისლოკაციის ადგილების გარეთ თვითეულ შემთხვევაში საჭირო იქნება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ან მის მიერ რწმუნებული პოლონეთის ხელისუფლების ორგანოების თანხმობა.

3. საბჭოთა ჯარების წვრთნა და მანევრები მათი დისლოკაციის ადგილების გარეთ ხორციელდება პოლონეთის ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმებული გეგმების საფუძველზე, ან თვითეულ შემთხვევაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ანდა მის მიერ რწმუნებული პოლონეთის ხელისუფლების ორგანოების თანხმობით.

**მუხლი 3.**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა ჯარები, პირები, რომლებიც მათს შემადგენლობაში შედიან, და ამ პირთა ოჯახების წევრები ვალდებული არიან პატივი სცენ და დაიცვან პოლონეთის კანონმდებლობის განკარგულებანი.

**მუხლი 4.**

1. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა ჯარების სამხედრო მოსამსახურეები ატარებენ მათთვის მიკუთვნებულ ფორმას, აქვთ და ატარებენ იარაღს საბჭოთა არმიაში დადგენილი წესის შესაბამისად.

2. საბჭოთა ჯარის ნაწილების ავტომანქანებსა და მოტოციკლებს უნდა ჰქონდეს სარეგისტრაციო ნომერი და ზუსტი განმასხვავებელი ნიშანი. სარეგისტრაციო ნომრებსა და ნიშნებს აწესებს საბჭოთა ჯარების სარდლობა და აცნობებს პოლონეთის კომპეტენტურ ორგანოებს.

3. პოლონეთის კომპეტენტური ორგანოები აღიარებენ, რომ ძალა აქვთ, გამოუცდელად ან ფასის გადაუხდელად, შოფერის უფლებებს, რომლებიც კომპეტენტური საბჭოთა ორგანოების მიერ მიცემული აქვთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში შემავალ პირებს.

**მუხლი 5.**

საბჭოთა ჯარის ნაწილების, აგრეთვე საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში შემავალი პირებისა და ამ პირების ოჯახთა წევრების პოლონეთში შესვლისა და პოლონეთიდან გასვლის წესრიგს, საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მათს ყოფნასთან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე სათანადო დოკუმენტების სახეს განსაზღვრავს ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის განსაკუთრებული შეთანხმება.

**მუხლი 6.**

საბჭოთა ჯარების მიერ საყაზარმო ქალაქებით, აეროდრომებით, სასწავლო მინდვრებით, პოლიგონებით და მათი მოწყობილობით და დანადგარებით, ნაგებობებით, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, ელექტროენერგიით, კომუნალური და სავაჭრო მომსახურებით, მათი ანაზღაურების პირობების ჩათვლით, სარგებლობის წესსა და პირობებს განსაზღვრავენ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა კომპეტენტური ორგანოების განსაკუთრებული შეთანხმებანი.

**მუხლი 7.**

საბჭოთა ჯარების დისლოკაციის ადგილებში შენობების, აეროდრომების, გზების, ხიდების, რადიოკავშირგაბმულობის მუდმივ ნაგებობათა, მათი სიხშირისა და სიმძლავრის განსაზღვრის ჩათვლით, მშენებლობისათვის საჭირო იქნება პოლონეთის ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების თანხმობა. ასეთი თანხმობა საჭირო იქნება აგრეთვე საბჭოთა ჯარების დისლოკაციის ადგილების გარეთ საყოფაცხოვრებო მომსახურების იმ მუდმივი პუნქტების მოსაწყობად, რომლებიც განკუთვნილია საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში შემავალი პირებისათვის.

**მუხლი 8.**

საბჭოთა ჯარების მიერ გამოყენებული საყაზარმო ქალაქების, აეროდრომების, სასწავლო მინდვრებისა და პოლიგონების და მათი სტაციონარული მოწყობილობისა და დანადგარების განთავისუფლების შემთხვევაში აღნიშნული ობიექტები პოლონეთის ხელისუფალთ დაუბრუნდებათ ვარგის მდგომარეობაში.

იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია პოლონეთის ხელისუფლების ორგანოებისათვის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების მიერ განთავისუფლებულ ობიექტების, მათ შორის საბჭოთა ჯარების მიერ აშენებული ობიექტების გადაცემასთან, განსაზღვრავენ განსაკუთრებული შეთანხმებანი.

**მუხლი 9.**

იურისდიქციის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ჯარების ყოფნასთან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შემდეგნაირად წესრიგდება:

1. იმ დანაშაულთა და გარდახდომილობათა შესახებ საქმეებში, რომლებიც საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში შემავალმა პირებმა ან მათი ოჯახების წევრებმა ჩაიდინეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე,

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის პოლონეთში დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ

(დასასრული)

როგორც საერთო წესი, გამოყენებულ იქნება პოლონეთის კანონმდებლობა და იმოქმედებენ პოლონეთის სასამართლოები, პროკურატურა და პოლონეთის სხვა ორგანოები, რომლებიც კომპეტენტური არიან დანაშაულთა და გარდახ-დომილობათა დევნის საკითხებში.

საქმეებს იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც საბჭოთა სამხედრო მო-სამსახურეებმა ჩაიდინეს, გამოიკვლევს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურა და განიხილავენ სამხედრო იუსტიციის ორგანოები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დადგენილებანი არ იქნება გამოყენე-ბული:

ა) იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში შემავალმა პირებმა ან მათი ოჯახების წევრებმა დანაშაული და გარდახდომილობა ჩაი-დინეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აგრეთვე საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში შემავალი პირების, ან მათი ოჯახების წევრების წინააღ-მდეგ;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში შემავალმა პირებმა დანაშაული ან გარდახდომილობა ჩაიდინეს სამსახურებრივი მოვა-ლეობის შესრულებისას.

იმ საქმეებში, რომლებიც აღნიშნულია „ა" და „ბ" ქვეპუნქტებში, კომ-პეტენტური არიან საბჭოთა სასამართლოები და სხვა ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე.

3. კომპეტენტურ საბჭოთა და პოლონეთის ორგანოებს შეუძლიათ მიმარ-თონ ერთმანეთს თხოვნით იმ ცალკეული საქმეების იურისდიქციის გადაცემის ან მიღების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლით. ასეთი თხოვნები განხილულ იქნება კეთილმოსურნეობით.

### მუხლი 10.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა ჯა-რების, აგრეთვე მათს შემადგენლობაში შემავალი სამხედრო მოსამსახურეე-ბის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ამაში დამნაშავე პირებს ეკისრებათ ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორც პოლონეთის შეიარაღებული ძალებისა და პოლონეთის სამხედრო მოსამსახურეთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობათათვის.

### მუხლი 11.

1. საბჭოთა და პოლონეთის კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს გაუ-წევენ ყოველგვარ დახმარებას, მათ შორის უფლებრივ დახმარებასაც ამ ხელ-შეკრულების მე-9 და მე-10 მუხლებში აღნიშნულ დანაშაულობათა და გარ-დახდომილობათა დევნის საკითხებში.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეების განსაკუთრებული შეთანხმება განსაზღვრავს იმ დახმარების გაწევის პრინციპებსა და წესს, რომელზეც ლა-პარაკია ამ მუხლის პირველ პუნქტში.

### მუხლი 12.

პოლონეთის ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების თხოვნით საბ-ჭოთა ჯარების შემადგენლობაში შემავალი პირი, რომელსაც ბრალად დაედე-ბა პოლონეთის უფლებრივი წესების დარღვევა, გაწვეულ იქნება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან.

### მუხლი 13.

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა თანა-ხმაა აუნაზღაუროს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მატერია-ლური ზარალი, რომელიც პოლონეთის სახელმწიფოს შეიძლება მოუვიდეს საბჭოთა ჯარის ნაწილების ან მათი შემადგენლობის ცალკეულ პირთა მოქმე-დებითა და დაუდევრობით, აგრეთვე ზარალი, რომელიც შეიძლება საბჭოთა ჯარის ნაწილებმა ან მათი შემადგენლობის პირებმა სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს მიაყენონ პოლონეთის დაწესებულებებსა და მოქალაქეებს ან მესამე სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომელნიც პოლონეთის სახალხო რეს-პუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან — ორივე შემთხვევაში იმ ოდენობით, [illegible]

[illegible]

ხებს დაზარალებულ პირებსა და დაწესებულებებს აუნაზღაურებენ პოლონე-თის შესაბამისი ორგანოები.

ზარალის ანაზღაურების პრეტენზიებს, რომლებიც არ იქნება დაკმაყო-ფილებული ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, განიხილავს შერეული კომისია.

### მუხლი 14.

1. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა აუნაზღაუროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა ჯარის ნაწილების ქონებისა და საბჭოთა ჯარების შემადგენლობის პირებისათვის მიყენებული ზარალი, რომელიც შეიძლება მიყენებულ იქნას პოლონეთის სახელმწიფო და-წესებულებათა მოქმედებით ან დაუდევრობით — აუნაზღაუროს იმ ოდენო-ბით, რომელსაც დაადგენს ამ ხელშეკრულების მე-19 მუხლის თანახმად შექმ-ნილი შერეული კომისია წარდგენილი პრეტენზიების საფუძველზე და პოლო-ნეთის კანონმდებლობის დადგენილებათა გათვალისწინებით.

დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პოლონეთის სახელმწიფო დაწესე-ბულებების ვალდებულებათაგან საბჭოთა ჯარის ნაწილების წინაშე, აგრეთვე უნდა განიხილოს შერეულმა კომისიამ იმავე საფუძვლებზე.

2. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა აგრეთვე აუნაზღაუროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას ზარალი, რომელიც მოუვათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორია-ზე მყოფ საბჭოთა ჯარის ნაწილებს, საბჭოთა ჯარების შემადგენლობის პი-რებს და ამ პირთა ოჯახის წევრებს პოლონელ მოქალაქეთა მოქმედების ან დაუდევრობის შედეგად — აუნაზღაუროს იმ ოდენობით, რომელსაც დაად-გენს პოლონეთის სასამართლო ზარალის მიმყენებელი პირებისათვის წარდგე-ნილ პრეტენზიათა საფუძველზე.

### მუხლი 15.

[illegible]

### მუხლი 16.

[illegible]

### მუხლი 17.

პოლონეთში საბჭოთა ჯარების ყოფნასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხების სათანადოდ მოწესრიგების მიზნით საბჭოთა სოციალისტური რეს-პუბლიკების კავშირის მთავრობა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ნიშნავენ პოლონეთში საბჭოთა ჯარების ყოფნის საქმეთა თავიანთ რწმუნებულებს.

### მუხლი 18.

ამ ხელშეკრულების განმარტებაში:

„საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში შემავალი პირი" არის

ა) საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურე.

ბ) სამოქალაქო პირი, რომელიც საბჭოთა მოქალაქეა და მუშაობს საბჭო-თა ჯარების ნაწილებში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში;

„დისლოკაციის ადგილია" საბჭოთა ჯარების განკარგულებაში გამოყო-ფილი ტერიტორია, რომელიც შეიცავს ჯარის ნაწილების განლაგების ადგი-ლებს, სასწავლო მინდვრებს, სასროლ მინდვრებს, პოლიგონებსა და სხვა ობიექტებს, რომლებსაც ეს ნაწილები იყენებენ.

### მუხლი 19.

იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც დაკავშირებულია ამ ხელშეკ-რულების და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეთანხმებათა განმარ-ტებასა ან შეფარდებასთან, იქმნება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შერეული კომისია, რომელშიც ხელშეკრულების დამდები თვითეული მხარე დანიშნავს თავის სამ წარმომადგენელს.

შერეული კომისია იმოქმედებს მის მიერ მიღებული წესების საფუძ-ველზე.

შერეული კომისიის ადგილსამყოფელი იქნება ვარშავა.

თუ შერეულმა კომისიამ ვერ გადაჭრა მისთვის გადაცემული საკითხი, ეს საკითხი გადაიჭრება დიპლომატიური გზით, რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

### მუხლი 20.

ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება მოსკოვში.

### მუხლი 21.

ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნის დროისათვის და შეიძლება შეიცვა-ლოს ხელშეკრულების დამდები მხარეების თანხმობით.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ვარშავაში 1956 წლის ჩვიდმეტ დე-კემბერს ორ ცალად, თვითეული რუსულ და პოლონურ ენებზე, ამასთან ორი-ვე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

რის დასადასტურებლად ზემოთდასახელებულმა რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას და ბეჭდები დაუსვეს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით
დ. შეპილოვი
გ. ჟუკოვი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით
ა. რაპაცკი
მ. სპიხალსკი

## რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

# საქმის ცოდნით უხელმძღვანელოთ მეცხოველეობას

დმანისის რაიონის სოფლის მეურ-ნეობაში მეცხოველეობა წამყვანი დარ-გია. გასულ სამეურნეო წელს მეცხო-ველეობაში დმანისელმა კოლმეურ-ნეებმა ერთგვარი წარმატებები მოიპო-ვეს. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეო-ბათა უმრავლესობა კვლავ სერიოზუ-ლად ჩამორჩება. ამაზე მეტყველებენ ციფრები: გასულ სამეურნეო წელს რაიონის 37 კოლმეურნეობიდან წვე-ლადობის გეგმა მხოლოდ თერთმეტმა შეასრულა, ხოლო ყველა სახის პი-რუტყვის სულადობის ზრდის დავალე-ბა შესრულებულია 4 კოლმეურნეო-ბაში.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის ასეთი ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა, ყველა შრომისუნარიანი კოლ-მეურნე არ მონაწილეობს საზოგა-დოებრივ წარმოებაში, დაბალია კომუ-ნისტების ავანგარდული როლი, ფერ-მებში სუსტად არის დაყენებული პარ-ტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

ამ ნაკლოვანებებზე, მათი გამოსწო-რების გზებსა და საშუალებებზე გაამა-ხვილეს ყურადღება დმანისის რაიო-ნულ პარტიულ კონფერენციაზე მომ-ხსენებელმა — რაიკომის მდივანმა მ. ყულიევმა და კამათის მონაწილე დელეგატებმა.

სოფელ საფარლოს სტალინის სახე-ლობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ხ. მამედოვმა აღნიშნა, რომ არტელის გამგეობა ნაკ-ლებად ზრუნავს მწყემსების საყოფა-ცხოვრებო პირობების გაუმჯობესები-სათვის. მეცხოველეები მომარაგებული არ არიან სპეცტანსაცმლით. მაგრამ ამხ. მამედოვი თავის გამოსვლაში არ შეეხო პარტიული მუშაობის სა-კითხებს, არაფერი თქვა იმაზე, რომ მე-ცხოველეებს შორის სუსტად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, ჩაშლილია პოლიტიკური აგიტაცია. აგიტატორებმა ისიც კი არ იციან, ფერ-მაში რამდენი ძროხაა, ან საშუალოდ ერთ ძროხაზე რამდენი რძე მიიღეს.

— რაიონის კოლმეურნეობებში, — თქვა გომარეთის მტს-ის დირექტორმა ი. დვალმა, — პირუტყვის ბინების მშენებლობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე ფერმებში შრომატევად სამუ-შაოთა მექანიზაციის საქმეში. კოლ-მეურნეობათა გამგეობებს მტს-დან არ მიაქვთ საკვების გადასამუშავებე-ლი მანქანები.

მომხსენებელმა და კამათის მონაწი-ლეებმა ყურადღება გაამახვილეს საზოგადოებრივი პირუტყვის გამო-ზამთრების საკითხებზე. როგორც კონ-ფერენციაზე ითქვა, გასულ წელს ამ მხრივ რაიონის კოლმეურნეობებში ცუდი მდგომარეობა იყო, რის გამო მთლიანად არ იქნა შესრულებული მე-ცხოველეობის სულადობისა და პრო-დუქტიულობის ზრდის გეგმები. კოლ-მეურნეობათა გამგეობებმა და პარტი-ულმა ორგანიზაციებმა წელს უკეთე-სად იმუშავეს და საკმაო რაოდენო-ბით დაამზადეს საკვები. ამით შექმნი-ლია პირობები იმისათვის, რომ ფერ-მებში ორგანიზებულად მოეწყოს პი-რუტყვის გამოზამთრება, შემდგომ გა-დიდდეს ხორცისა და რძის წარმოება.

— წელს სახელმწიფოს დიდი რაო-დენობით დავაკელით მეცხოველეობის პროდუქტები, — თქვა რაისაბჭოს აღ-მასკომის თავმჯდომარემ ა. ალაევმა. — ეს იმით არის გამოწვეული, რომ რაიო-ნის პარტიული, საბჭოთა და სამეურ-ნეო ორგანოები სუსტად ხელმძღვანე-ლობდნენ მეცხოველეობას. დიდია ძროხების ბერწიანობა და პირუტყვის სიკვდილიანობა.

პარტიის რაიკომის მდივანმა გომარე-თის მტს-ის ზონაში ა. დემენტიევმა ზოგადად ილაპარაკა ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობაზე. მას არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რა დახმა-რებას უწევს ინსტრუქტორთა ჯგუფი ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს. სინამ-დვილეში კი ინსტრუქტორები იშვიათად დადიან კოლმეურნეობებში, მეცხოვე-ლეობის ფერმებში.

— კოლმეურნეობათა გამგეობები, — თქვა კონფერენციის დელეგატმა თ. თაქიზადემ, ნაკლებად ზრუნავენ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პი-რუტყვის გასუქებისათვის, ამასთან ნაკ-ლები ყურადღება ექცევა ღორების გა-სუქებასა და ჩაბარებას. იმის გამო, რომ საქონელი მჭლეა, კოლმეურნეო-ბები იძულებული არიან დიდი რაოდე-ნობით ჩააბარონ პირუტყვი სახელმწი-ფოს, რაც მეცხოველეობის სულადო-ბის შემცირებას იწვევს.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენ-ციაზე გამოსული დელეგატების უმ-რავლესობამ გვერდი აუარა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, მთელი პირდაპირობით არ გამოააშკარა-ვა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანება-ნი. როგორც მომხსენებელმა, ისე კა-მათის მონაწილეებმა განსაკუთრებით ცოტა ილაპარაკეს რაიკომის ინსტრუქ-ტორთა ჯგუფების საქმიანობაზე მტს-ების ზონებში.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომი-ტეტის მდივანმა ამხ. ზ. ა. კვაჭაძემ, რომელიც თავის გამოსვლაში ვრცლად შეეხო მეცხოველეობის განვითარები-სა და სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვ-ნელოვანესი დარგისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების სა-კითხებს.

დელეგატების საქმიანი წინადადე-ბებისა და შენიშვნების საფუძველზე კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათ-ვის და აირჩია პარტიის რაიკომის ახა-ლი შემადგენლობა.

* * *

შედგა რაიონული კომიტეტის პლე-ნუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია მ. ყულიევი, მეორე მდივნად — შ. მენთეშაშვილი, რაიკო-მის მდივნებად მტს-ების ზონებში — ი. დევნოზაშვილი და ა. დემენტიევი.

რ. დავითური,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# ადლერელი მექანიზატორები ოჩამჩირეში

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). ამას წინათ ოჩამჩი-რის მეორე მტს-ის კოლექტივს ეწვია კრასნოდა-რის მხარის ადლერის მტს-ის დელეგაცია.

სტუმრები გაეცნენ ჩაის კულტურის აგრო-ტექნიკას სოფელ ქოჩარის სტალინის სახელო-ბის კოლმეურნეობაში, ჩაის ნედლეულის გადა-მუშავების ტექნოლოგიას ქოჩარის ჩაის ფაბ-რიკაში. ისინი იყვნენ აგრეთვე სატრაქტორო ბრიგადებში და გაუზიარეს მათ ტრაქტორებისა და მანქანების მთაგორიან რელიეფში გამოყე-ნების თავიანთი გამოცდილება.

ქოჩარის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებ-ში სტუმრები დაინტერესდნენ ლაო-ჩაის საკრე-ფი მაკრატლებით, რომლებიც დამზადებულია კოლმეურნე პ. შუბითიძის მიერ. კოლმეურნეო-ბის გამგეობამ სტუმრებს აჩუქა ერთი ასეთი მაკრატელი. ამის საპასუხოდ ადლერელი მექა-ნიზატორები დაჰპირდნენ ოჩამჩირის მეორე მტს-ს, რომ გამოუგზავნიან ჩაის ბუჩქების მძი-მე გასხვლისათვის საჭირო მოწყობილობას, რო-მელიც მათთან არის დამზადებული.

გადაწყდა დადებულ იქნას სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1957 წლისათვის ორივე მტს-ის კოლექტივებს შორის.

მალე ოჩამჩირის მეორე მტს-ის წარმომად-გენლები გაემგზავრებიან ადლერის მტს-ში სო-ციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გა-ფორმებისათვის.

# საბჭოთა ელექტროფიკაციის პირმშო



საბჭოთა ელექტროფიკაციის პირ-მშო — ეს სახელწოდება მტკიცედ შერჩა ვოლხოვის ვ. ი. ლენინის სა-ხელობის ელექტროსადგურს. ოცდა-ათი წლის წინათ — 1926 წლის 19 დეკემბერს საზეიმოდ მოეწყო მისი ამუშავება. და ახლა, აღნიშნავენ რა ამ თარიღს, საბჭოთა ადამიანები შე-ფასებას აძლევენ მთელი ჩვენი ხალ-ხის სიამაყის — საბჭოთა ენერგეტი-კის მიერ განვლილ ბრძოლისა და გამარჯვებათა გზას.

ვოლხოვის ელექტროსადგურის აშენება დასახული იყო „გოელროს" გეგმით და სახკომსაბჭოს 1921 წლის 21 დეკემბრის დეკრეტით. იგი შეტა-ნილი იყო პირველი რიგის შვიდი ელექტროსადგურის სიაში. მაშინვე დაიწყო ინტენსიური მშენებლობა ვოლხოვის ნაპირებზე. საქმე სწრა-ფად მიდიოდა წინ, მიუხედავად იმი-სა, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობდა ესოდენ დიდ ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობათა აშენების გა-მოცდილება.

ეს გამოცდილება მოგვიტანა ვოლ-ხოვის სადგურის მშენებლობამ. მა-გალითად, იქ პირველად გამოიყენეს ბეტონის მექანიკური დამზადება, რა-მაც მკვეთრად დააჩქარა ბეტონის წყობის ტემპები. მეტად ძვირფასი წინადადება შეიმუშავა მაშინ პრო-ფესორმა ა. ა. საბანეევმა. მისი იდეით შენდებოდა ყველაზე რაცი-ონალური კონსტრუქციის წყალსაშ-ვები კაშხალი. ეს კონსტრუქცია სპობდა ფუძის გამორეცხვის საფრთ-ხეს. შემდეგში ამ ძვირფას საინჟინ-რო გადაწყვეტას თავიანთ პრაქ-ტიკულ საქმიანობაში იყენებდნენ უცხოეთის ჰიდრომშენებლები.

ტექნიკური სიახლე იყო ისიც, რომ მას შემდეგ, რაც ვოლხოვის სადგუ-რი ამუშავდა, იგი ჩართულ იქნა პა-რალელურ კავშირში ორთქლის მძლავრ ელექტროსადგურებთან, რომლებიც ენერგიას აწვდიდნენ ლენინგრადს.

ყოველივე ეს და ბევრი სხვა რამ, რასაც საბჭოთა ენერგეტიკოსებმა ვოლხოვზე მიაღწიეს, შემდეგში კი-დევ უფრო განვითარდა ჩვენს ქვე-ყანაში და ხელი შეუწყო ელექტრო-ფიკაციის სწრაფ ტექნიკურ პროგ-რესს.

ახლანდელი მასშტაბების მიხედ-ვით ვოლხოვის ჰიდროელექტროსა-დგური განსაკუთრებით მძლავრად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ოცდაათი წლის წინათ იგი გრანდიოზული იყო. იქ დადგმული იყო იმ დროს უდიდესი გენერატორები მაშინ გა-მოყენებულ ძაბვათაგან ყველაზე მა-ღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზით.

არა მარტო ვოლხოვის ჰესის კო-ლექტივი, არამედ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდი სიხარუ-ლით აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თა-რიღს. ვოლხოვის ელექტროსადგური ჩვენი ეპოქის თავისებური ძეგლია. ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ ამ სადგურით. ტექნიკურად იგი სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება. ახლა შემუშავებულია იმის პროექტი, რომ მისი რვა აგრეგატი შეიცვალოს სხვა, უფრო თანამედ-როვე საბჭოთა მანქანებით. ეს თით-ქმის ერთნახევარჯერ გაზრდის სა-დგურის სიმძლავრეს.

19 დეკემბრისათვის ვოლხოვის ენერგეტიკოსები ელექტროენერგიის გამომუშავების წლიურ გეგმას ას-რულებენ. ამ დღეს ვოლხოვზე გაი-მართება სადგურის იუბილესადმი მიძღვნილი სასიხარულო დღესასწა-ული.

ო. კარიშევი.

სურათზე: ვოლხოვის ვ. ი. ლენინის სახე-ლობის ჰიდროელექტროსადგურის უძველეს მუშაკთა ჯგუფი, რომლებიც ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებული არიან ლენინის ორდენით. მარცხნიდან მარჯ-ვნივ — უფროსი მემანქანე ა. პ. გოლუბევი; მორიგე ინჟინერი ვ. ტ. გრომოვი; უფროსი მემანქანეები ა. ს. ვესელოვი და ა. ფ. როდი-ჩევი. ფოტო დ. ტრახტენბერგისა.

მკითხველის რეპლიკა

# ზოგიერთი შეუსაბამობა

მიმდინარე წელს სა-ხელგამმა გამოსცა სა-ქართველოს სსრ სახელ-მწიფო წიგნის პალატის მიერ მომზადებული სტატისტიკურ-ბიბლიო-გრაფიული ნარკვევი „საქართველოს ბეჭდვი-თი სიტყვა. 1921-1953 წ. წ." (მეორე გამოცემა, ავტორი პ. ხუნდაძე, რე-დაქტორი ვ. გოგოლაძე). ეს ნაშრომი უთუოდ კარგ სამსახურს გაუწევს ბეჭდვითი სიტყვის დარგ-ში მომუშავე მკვლევა-რებს, პრესის მუშაკებს, პროპაგანდისტებს, აგი-ტატორებსა და მკითხვე-ლებს. ამიტომ მისასალ-მებელია საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის თაოსნობა აღ-ნიშნული ნაშრომის სრულყოფისა და დასა-ბეჭდად ხელმეორედ მო-მზადებისათვის.

მაგრამ, მიუხედავად წიგნის პალატის მუშაკთა დიდი მეცადინეობისა, ნაშრომში მაინც გაპარუ-ლა ზოგიერთი შეუსაბა-მობა და არასიზუსტე. სტატისტიკურ-ბიბლიო-გრაფიული ნარკვევის 144-145-ე გვერდებზე მოთავსებულია საქართ-ველოს გაზეთების სია 1953 წლისათვის, რო-მელშიც არასწორად არის მითითებული ზოგიერთი გაზეთის ენა. მაგალითად, ახალციხის რაიონული გაზეთი „წითელი დრო-შა" 1941 წლიდან გამო-დის ქართულ და სომხურ ენებზე, ნარკვევში კი გა-ზეთის ენად მითითებუ-ლია მხოლოდ სომხური. ასეთი შეცდომა ნარ-კვევში ერთეული არ არის. ბოგდანოვკის რაი-ონული გაზეთი „სტალინ-სკი პუტ" გამოდის რუ-სულ და სომხურ ენებზე, ნარკვევში კი მითითებუ-ლია მხოლოდ რუსული ენა. გაზეთი „ოქტომ-ბრის დროშით" (ახალ-ქალაქი) იბეჭდება სომ-ხურ-ქართულად, მითი-თებულია მხოლოდ ქარ-თული; გაზეთი „მეტა-ლურგიისათვის" (რუს-თავი) გამოდის რუსუ-ლად და ქართულად, მი-თითებულია მხოლოდ რუსული ენა და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეუწონელია გაზეთ „მოლოდოი სტა-ლინეცის" სახელწოდე-ბის „ახალგაზრდა სტა-ლინელად" თარგმნა. ნარკვევის რედაქტორსა და გამომცემლობას თუ ეს სწორად მიაჩნიათ, მა-შინ ხომ „ზარია ვოსტო-კას", „ლენინსკი პუტის" და სხვა რუსული გაზე-თების სახელწოდებებიც უნდა ეთარგმნათ?

ნ. ფარჯანაძე,
ახალციხის რაიონული გა-ზეთის „წითელი დროშის" რედაქტორი.

# მუშაობის გარდაქმნის შემდეგ

## მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მაგალითი

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივის მისამართით განვლილ წლებში მრავალი საყვედური გაისმოდა:

— ცუდად, მოძველებული ფასონებისა და მოდელების მიხედვით, თან დაუდევრად, უხარისხოდ კერავენ ტანსაცმელს, პროდუქციის მარკირების საქმე ფაბრიკაში მოუწესრიგებელი აქვთ, ხშირად იძულებული ვართ მათ მიერ პირველ ხარისხად აღიარებული შეკერილი ტანსაცმელი მეორე ხარისხში გადავიყვანოთ. ეს კი, არც ჩვენთვის — გამსაღებელი ორგანიზაციისათვის არის ხელსაყრელი და არც ფაბრიკის კოლექტივისათვის.

ეს საყვედურები საფუძველს მოკლებული როდი იყო. ფაბრიკის კოლექტივი მართლაც გაუმართავად მუშაობდა, არ იგრძნობოდა ზრუნვა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის, მოუწესრიგებელი იყო შრომა, არაფერი კეთდებოდა მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, დანადგართა გაცდენის აღმოსაფხვრელად, წარმოებაში ახალი მეთოდების დასანერგავად.

წელს ამ ფაბრიკის კოლექტივი ბევრად უკეთესად მუშაობს, ვიდრე შარშან.

ფაბრიკის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა (დირექტორი ინჟინერი გ. გამყრელიძე, მთავარი ინჟინერი ლოლა სიჭინავა, პარტიული ორგანიზაციის მდივანი თამარ ილურიძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ გოჩიაშვილი) ჯერ კიდევ 1956 წლის დაწყებამდე დიდი მუშაობა გასწიეს საწარმოს უფრო გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად. ამ მუშაობას საფუძვლად დაედო 1956 წლის კოლექტიური ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებული იყო ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელება საწარმოში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საწარმოო გეგმის წარმატებით შესრულება, ცხადია, დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა კადრებზე, შემდეგ ტექნიკაზე, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების მოწესრიგებაზე, შრომის ორგანიზაციის სათანადოდ დაყენებაზე და ა. შ.

ფაბრიკის ხელმძღვანელებმა დღის წესრიგის პირველ მოსაგვარებელ საკითხად მუშათა კადრების მომზადებისათვის ზრუნვა მიიჩნიეს: მოაწყეს ე. წ. მიზნობრივი დანიშნულების კურსები ცალკე პროფესიების მიხედვით მომუშავეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ კურსებზე მთავარი ყურადღება ჰქონდა დათმობილი სამკერვალო მრეწველობის მოწინავეთა გამოცდილების შესწავლას, შრომის მაღალნაყოფიერი ხერხების დაუფლებას. ამით მიღწეულ იქნა ქსოვილთა გამომჭრელების, მკერავების, დამფენების და სხვა პროფესიათა მუშების კვალიფიკაციის მასობრივად ამაღლება.

მაგრამ მარტო კვალიფიკაციის ამაღლება როდი უშველის საქმეს, თუ მუშებს შექმნილი არა აქვთ ყოფაცხოვრების სათანადო პირობები, თუ მათ არა აქვთ საშუალება კარგად დაისვენონ, კულტურულად გაერთონ, ენერგია მოიკრიბონ.

მუშებისათვის ფაბრიკასთან არსებული პროფილაქტორიუმი 1956 წლის დასაწყისიდან გადაკეთებულ იქნა მუშათა სანატორიუმად, სადაც 25 მუშა ისვენებს ყოველთვიურად. ამან დიდად შეუწყო ხელი ფაბრიკის მუშათა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში თითქმის ყველა ტექნოლოგიურ პროცესს მექანიზმები ასრულებენ. ტექნიკური აღჭურვილობა ფაბრიკაში სულ უახლესია, მაგრამ დანადგართა გაცდენის შემთხვევებს ბოლო ხანებამდე მაინც ჰქონდა ადგილი. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ფაბრიკის ხელმძღვანელებმა განახორციელეს წარმოების სრული დისპეტჩერიზაცია. ყოველი, თუნდაც სულ მცირე დროით გაცდენა ახლა აღირიცხება, ხდება გაცდენის გამომწვევი მიზეზის ფიქსირება, რაც იწვევს მექანიკოსების პასუხისმგებლობის ზრდას, იძულებულს ხდის მათ არ დაუშვან მოწყობილობის გაცდენა, თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შეაკეთონ დანადგარები.

ყოველივე ამის შედეგად, აგრეთვე კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მთელ რიგ სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით წელს ფაბრიკის პროდუქციაზე რეკლამაციებმა შესამჩნევად იკლო. შემცირდა საყვედურები მომხმარებლების მხრივაც, პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 8,3 პროცენტით და თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულმა თანხამ 2.982 ათასი მანეთი შეადგინა.

ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი განვლილი 11 თვის დავალებებს. შესრულებულია როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება 1,2 პროცენტით არის გადამეტებული. ამასთან ქსოვილთა გამოჭრის რაციონალური ხერხების დანერგვის შედეგად წელს მარტო 11 თვის განმავლობაში გაწეულია 27.500 მეტრი შალის და 19.000 მეტრი აბრეშუმის ქსოვილების ეკონომია.

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მაგალითი საგულისხმოა რესპუბლიკის მრავალი საწარმოს კოლექტივისათვის. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ საწარმოს ხელმძღვანელთა შეწყობილი მუშაობით, ორმხრივ ვალდებულებათა დროზე შესრულებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებით და საწარმოო ამოცანების შესასრულებლად კოლექტივის მტკიცედ დარაზმვით შეიძლება საერთო აღმავლობის მიღწევა, ჩამორჩენილი საწარმოს ჩაყენება მოწინავეთა წყებაში.

**დ. ამირანიძე, ზ. ჩილაჩავა.**



გორი. ბამბეულის კომბინატის ქვეოსტატი ვ. თოფჩიშვილი (მარცხნივ) და ვ. ვოზოვიკოვი ამოწმებენ მოსაჩითავი ლილვის ტექნიკურ მდგომარეობას. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ორჯონიკიძის რაიონში

### რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

წელს 300 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა რაიონული ცენტრის კეთილმოწყობისათვის. დამთავრდა კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობა, სადაც 6.780 ძირი მარადმწვანე მცენარე დაირგო. გაკეთდა გაზონები, ბორდიურები. გაყვანილ იქნა რკინაბეტონის ღია საკანალიზაციო არხები, დაიგო ასფალტბეტონის ფენილი.

### ახალი აბანო

დამთავრდა აბანოს მშენებლობა, რომელზეც 70 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა. აბანომ უკვე დაიწყო მუშაობა.

### საცხოვრებელი სახლი

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დაამთავრა 8-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. იგი განკუთვნილია რკინიგზის სადგურ ხარაგოულის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

### რძის გადასამუშავებელი ქარხანა

საექსპლოატაციოდ გადაეცა რძის გადასამუშავებელი ახალი ქარხანა, რომელიც დღეღამეში 2 ტონაზე მეტ რძეს გადაამუშავებს.

### პირუტყვის ახალი ბინები

ტიპური პროექტის მიხედვით ახალი ბინები აშენდა სოფელ კიცხის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში 87 სული პირუტყვისათვის, სოფელ ზვარის ხრუშჩოვის სახელობის, სოფელ სარგვეშის სტალინის სახელობის და სოფელ ღორეშის მეორე უბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში — თვითეული 52 სულისათვის.

### ფართოვდება ვაჭრობის და კვების ობიექტების ქსელი

რაისამომხმარებლო კავშირის გამგეობამ დაბაში გახსნა სასურსათო და სამეურნეო მაღაზიები, კულტურისა და დასვენების პარკში — პავილიონი, დაამთავრა პურის საცხობის მშენებლობა, რომელიც დღეღამეში 5 ტონა პურს გამოაცხობს. დამთავრდა ახალი მაღაზიების მშენებლობა სოფლებში ლაშეში, ხევში და მოლითში. ახალ, კეთილმოწყობილ მაღაზიებში დაიწყო ვაჭრობა.

**გ. ხუსკივაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# მექანიზატორთა რესპუბლიკურ თათბირზე

ამ დღეებში თბილისში გაიმართა მტს-ების მთავარი ინჟინრების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. ბექაურმა.

თათბირმა განიხილა ორი საკითხი: „მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშების ტექნიკური სწავლების 1956 წლის შედეგები და 1957 წლის ამოცანები" და „შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის შესახებ".

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ი. ხოხლოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკის მტს-ებში მუშების ტექნიკურ სწავლებაში ერთგვარ წარმატებებთან ერთად არის სერიოზული ნაკლოვანებები.

ეს საქმე ჩაიშალა ხაშურის, გორის, აგარის, ქარელის, რუისის, გომის, ახალსოფლის, ტყვიავის, წნორის, აფენის, ვარდისუბნის, ჭიათურის, ზესტაფონის, ალაზნისა და ზოგიერთ სხვა მტს-ებში.

ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე კასპის, ბარალეთის, წალკის, მანგლისის, კაჭრეთის, ულიანოვკის, აბაშის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, კოლხიდის და სხვა მტს-ების ხელმძღვანელები.

კადრების მომზადების საქმეში დაუდევრობის შედეგად ზოგიერთ მტს-ში ახალ ტექნიკას სათანადოდ ვერ იყენებენ, რაც იწვევს შრომის ნაყოფიერების შემცირებას და თვითღირებულების გადიდებას. მომავალ წელს ეს აღარ უნდა განმეორდეს.

ზოგიერთი მტს-ის ხელმძღვანელებმა სამინისტროში წარმოადგინეს აქტები კადრების მომზადების შესახებ და საკითხი ამოწურულად ჩათვალეს. შემოწმების შედეგად კი ირკვევა, რომ თერჯოლის, წყალტუბოს, ბაღდათის და სხვა მტს-ებში მხოლოდ აქტები გამოგზავნეს და კადრების მომზადების საქმეც ამით დაამთავრეს. ბაღდათის მტს-მა აქტები წარმოადგინა, კადრების, ასე ვთქვათ, მომზადებისათვის ფულიც გადაერიცხა, მაგრამ ადგილზე შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ აქ არავითარი კურსები არ არსებობდა. — ამის შესახებ ილაპარაკა სოფლის მეურნეობის სამინისტროს კადრების მომზადების სამმართველოს უფროსმა ინჟინერ-მექანიკოსმა ამხ. მ. წაქაძემ. კადრების მომზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის მან გააკრიტიკა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის ასსრ მტს-ების ხელმძღვანელები.

ბარალეთის მტს-ის მთავარმა ინჟინერმა ი. მელიქიანმა თვითკრიტიკის წესით აღნიშნა, რომ კადრების მომზადებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ იგი თავის მართლებას შეეცადა იმით, რომ თითქოს მეცადინეობა ვერ ეწყობოდა სათანადო ოთახის უქონლობის გამო.

ჩხოროწყუს მტს-ის მთავარმა ინჟინერმა გ. ნაჭყებიამ თავის გამოსვლაში აღიარა, კადრების მომზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებები ჩვენივე მიზეზით არის გამოწვეულიო.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს შრომისა და ხელფასის სამმართველოს უფროსი ინჟინერი ამხ. შ. მუჯირი.

მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა მცხეთის, ბაღდათის, ქარელის, კაჭრეთისა და სხვა მტს-ების ხელმძღვანელები იმის გამო, რომ აქ მექანიზატორთა შრომის დაცვასა და უსაფრთხოების საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამ მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების უმრავლესობას არა აქვს საველე სადგომები, ხოლო სახელოსნოებში არ იცავენ უსაფრთხოების ტექნიკას, მექანიზატორებს არა აქვთ სპეცტანსაცმელი, ზამთარში სახელოსნოები არ თბება და სხვ. კასპის, ქარელისა და აბაშის მტს-ების არც ერთ სატრაქტორო ბრიგადას არა აქვს საველე სადგომები, ხოლო ყვარლის მტს-ის 8 სატრაქტორო ბრიგადიდან მხოლოდ 3 ბრიგადას აქვს საველე სადგომი. აქედან ცხადია, თუ როგორ პირობებში უხდებათ მუშაობა ამ მტს-ების მექანიზატორებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული თანხების ათვისება მტს-ებში არადამაკმაყოფილებელია. რესპუბლიკის მტს-ებში მიმდინარე წლის ათ თვეში გეგმით გათვალისწინებული 499.100 მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 70.724 მანეთი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს თელავის მტს-ის მთავარმა ინჟინერმა ი. ნარეკლიშვილმა, გომის მტს-ის მთავარმა ინჟინერმა პ. არაბიძემ, ულიანოვკის მტს-ის მთავარმა ინჟინერმა ბ. ტარყაშვილმა და სხვ. სულ 11 კაცმა.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტის საკითხზე.

განხილულ საკითხებზე თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

# მეგობრობის საღამო

ამ დღეებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის სტუდენტებმა ინსტიტუტის კლუბში მეგობრული შეხვედრა მოუწყეს სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებსა და სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდებს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა გ. ბადრიაშვილმა. მოხსენება — „საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობა" — გააკეთა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორმა დოც. შ. ჰელიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე დოც. გ. ჯიოევი, ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ქრისტესიაშვილი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ვ. ჯიოშვილი, სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი ა. ცოტნიაშვილი, ერედვის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ფუხაევი და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა სტალინირელ სტუდენტებსა და ერედველ კოლმეურნეებს საჩუქრად გადასცეს პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო და მხატვრული ლიტერატურა.

დასასრულ თბილისელ და სტალინირელ სტუდენტთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

# წერილები რედაქციას

## მეტი ყურადღება საშუალო მედპერსონალს

ჩვენს [illegible] იხარჯება მედიცინის მუშაკთა ახალი კადრების მოსამზადებლად. სამედიცინო ინსტიტუტები ყოველწლიურად უშვებენ ახალგაზრდა ექიმებს, სამედიცინო ტექნიკუმები ამზადებენ საშუალო მედპერსონალის კადრებს. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში საკმარისად როდი ჰყავთ ექიმები და საშუალო კვალიფიკაციის მედმუშაკები.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სრულიად არ ექცევა ყურადღება საშუალო მედპერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ყურადღების გარეშე დატოვებული არიან ე. წ. ძველი ფერშლები, რომლებსაც მუშაობის ათი, ოცი წლის და მეტი სტაჟი აქვთ. თვითეულ მათგანს სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია, მაგრამ ამის საშუალება არა აქვს.

საინტერესოა, თუ კი არსებობს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტები, რატომ არ შეიძლება ასეთი რამ შეიქმნას ფერშლებისათვის, ანდა რატომ არ უნდა მოეწყოს საშუალო კვალიფიკაციის მქონე მედპერსონალის დაუსწრებელი სწავლება? რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ამისათვის სათანადოდ იზრუნებს.

საშუალო მედმუშაკი ისევე საჭიროა მედიცინაში, როგორც ტექნიკოსი მრეწველობაში. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ფერშლებს, რომლებიც წლების მანძილზე პატიოსნად შრომობენ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

**ს. ვადაჭკორია,**
დუშეთის რაიონის სოფელ ებნისის საფერშლო პუნქტის გამგე.

## ჩვენი სიხარული

პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების მიზნით ბევრი რამ გაკეთდა გარეუბნის რაიონის სოფელ თელეთის საშუალო სკოლაში. წელს აქ მოეწყო სახელოსნო, რომელშიც დადგმულია 8 დაზგა. მოწყობილია აგრეთვე ფიზიკის კაბინეტი.

საშუალო სკოლას დიდ დახმარებას უწევს თელეთის მტს-ი. ამ ცოტა ხნის წინათ უჩვეულო სიხარული განიცადეს ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა. მტს-მა სკოლას გადასცა „სტზ" მარკის ტრაქტორი.

საზეიმო ვითარებაში მოხდა ტრაქტორის გადაცემა. გაიმართა სახელდახელო მიტინგი. მიტინგის შემდეგ მოსწავლე ვ. ჯამალაშვილმა, თელეთის მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტის შვილმა, ტრაქტორი ააგუგუნა, რასაც მოსწავლეთა მხიარული შეძახილები შეუერთდა.

**თ. ჩიქოვანი,**
მასწავლებელი.

# ახალი ქართული კინოკომედია



მაყურებელთა შორის ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მსჯელობა იმ შთაბეჭდილების გამო, რომელიც გამოიწვია ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის" ახალმა მხატვრულმა სურათმა „ბაში-აჩუკმა", რომ ეკრანზე კვლავ გამოჩნდა ამავე სტუდიის ახალი ნაწარმოები — კინოკომედია „აბეზარა".

საქართველოს კინოსტუდიას განზრახული აქვს მოკლე დროში კიდევ უჩვენოს ახალი ფილმი. ეს მეტყველებს იმ დიდ შემოქმედებითს რესურსებსა და შესაძლებლობებზე, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის კინოსტუდიას აქვს და, რომლებიც წლების მანძილზე ნაკლებად იყო გამოყენებული.

„აბეზარა" თანამედროვე თემაზე შექმნილი კინოკომედიაა. მისი სიუჟეტი გაშლილია თბილისის ფონზე. მოქმედების ობიექტად შერჩეულია საბინაო მშენებლობა, კერძოდ არქიტექტორების შრომა და ცხოვრება.

კომედიის მახვილი ძირითადად მიმართულია ისეთი არქიტექტორებისა და სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომლებიც გატაცებული არიან ახალ შენობათა მხოლოდ გარეგნული სილამაზით — კოშკებით, ორნამენტებით, მოპირკეთებით და ყურადღებას არ აქცევენ საცხოვრებელი ფართობის კეთილმოწყობას. ამავე დროს მკაცრი და ჯანსაღი იუმორის საშუალებით მხილებული და გამათრახებულია ძველი ყოფის მავნე გადმონაშთები — პატივმოყვარეობა, ეგოიზმი, საყოფაცხოვრებო აღვირახსნილობა, ფუქსავატობა.

ფილმი იწყება „აბეზარას" მელოდიით „ფრთა გაშალე, ნიავო, ნიავო!" და თავდება მისივე სიმღერით თბილისზე. ამ სიმღერებს შორის კინემატოგრაფიის თვალსაზრისით ბევრი რამ არის საინტერესო, საყურადღებო და ოსტატურად გაკეთებული.

ფილმის მოკლე შინაარსი ასეთია: მძღოლი გოგონა (ამავე დროს დაუსწრებელი ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტი) ლია, რომელსაც მეტსახელად აბეზარას ეძახიან, სიმღერით ბრუნდება გარაჟში. აჩერებს მანქანას. გარაჟის გამგესთან ახალგაზრდა ვახტანგთან მის საუბარში ირკვევა, რომ ლია დაუდეგარი, სალი გონებისა და პირში მთქმელი გოგონაა. ეს არ მოსწონთ უფროსებს და ზედიზედ ათავისუფლებენ მას სამუშაოდან. ვახტანგს მოსწონს ლია და ამიტომ ცდილობს როგორმე შეინარჩუნოს გარაჟში...

უკანასკნელად იგი დანიშნეს მთავარი არქიტექტორის გიორგის მანქანის მძღოლად. ლია საჭესთან ჯდება და სიმღერით მიეშურება მთავარი არქიტექტორის ბინისაკენ. მისი სიმღერა ამჯერად უფრო მიმზიდველია. ლიას უხარია, რომ გიორგი მარტოხელაა და ამიტომ მას არ მოუხდება უფროსის მეუღლე ატაროს ბაზარში, წაიყვანოს საპარიკმახეროში, საკომისიო მაღაზიებში. მაგრამ მარტო ეს როდია „აბეზარას" სიხარულის მიზეზი. მას გიორგი მოსწონს და უხარია, რომ ამიერიდან მასთან ახლოს მოუხდება ყოფნა.

ბევრი დაბრკოლება გადაეღობება წინ ლიას წმინდა სიყვარულს გიორგისადმი, გოგონას მარად მხიარულ თვალებში ცრემლიც აბრწყინდება. მაგრამ ფილმის ავტორებს ეს განცდები — ლიას სიცილი თუ ტირილი, სიხარული თუ დარდი მოუქცევიათ კომედიურ გარემოცვაში, რაც სურათს ჟანრობრივად მკვიდრ ჩარჩოში ათავსებს და შინაარსობრივად უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის.

ფილმის ავტორებმა ლიას დაუპირისპირეს ლამაზი, მაგრამ ფუქსავატი, უსაქმური ქალიშვილი თამარი. ის ახერხებს თავი შეაყვაროს ისეთ სპეტაკ ადამიანს, როგორიც არის გიორგი. ფილმში არის კადრები, რომლებიც თანდათანობით და დამაჯერებლად უჩვენებენ თამარის უარყოფითს თვისებებს, რაც შემდეგ გიორგისთვისაც გასაგები ხდება.

იმარჯვებს შრომისმოყვარე, სპეტაკი და მტკიცე ხასიათის გოგონა ლია, გიორგი საბოლოოდ წყვეტს ურთიერთობას თამართან... ახალ სახლში, ნათელი გრძნობებითა და მისწრაფებებით იწყებენ ცხოვრებას ლია და გიორგი.

ამ თავისთავად საინტერესო ლიტერატურულ ქარგას ფილმში აქვს მეტად ლამაზი და, შეიძლება ითქვას, ზომიერი სამკაულები. პირველ რიგში აღსანიშნავია თბილისის, მისი ქუჩების, პროსპექტების, ლამაზი შენობების ფერწერული ჩვენება. ოპერატორის დ. ფელდმანის ოსტატობას ამჟღავნებენ კადრები, რომლებიც ასე მომხიბლავად და დამაჯერებლად გადმოსცემენ არა მარტო გარემოს და ადამიანებს, არამედ მათს მოქმედებასა და განწყობილებასაც.

შეუძლებელია მაყურებელს დაავიწყდეს კადრები, რომლებშიც გადმოცემულია ლიასა და ვახტანგის ღამით გასეირნება მტკვრის სანაპიროზე, თბილისის ხედები ფუნიკულორიდან, მასობრივი სცენა ტუფის კარიერზე, რუსთაველის პროსპექტის პანორამა და მრავალი სხვა.

ფილმში იგრძნობა დამდგმელი რეჟისორის ნ. სანიშვილისა (რომლის მონაწილეობით დაიწერა სცენარი) და რეჟისორის ვ. შველიძის მაღალი გემოვნება. სცენარი (ავტორი ა. ვიტენზონი) არ არის გადატვირთული ზედმეტი დეტალებით. ფილმში ყოველი კადრი მიმართულია იქითკენ, რომ თანდათანობით გაიხსნას მოქმედ გმირთა ხასიათი, გამოვლინდეს მათი გრძნობები და მისწრაფებანი.

ფილმს მიმზიდველს და საინტერესოს ხდის კარგად მოფიქრებული მელოდიები (კომპოზიტორი ს. ცინცაძე). განსაკუთრებით მიმზიდველია აკორდები ღამით, როცა ლია და ვახტანგი სანაპიროზე სეირნობენ, სიმღერა „ჯერ არ იქნება გვიან..." და, ბოლოს, თვით „აბეზარას" სიმღერები, რომლებითაც იწყება და თავდება ფილმი.

აღსანიშნავია მხატვრების ლ. მამალაძისა და ვ. მაჭავარიანის ნამუშევრები. განსაკუთრებით — კოსტიუმები (კოსტიუმების მხატვარი ტ. კრიმკოვსკაია). ცხადია, ნათელმა და ზომიერმა ფერებმა, რომლებიც მხატვრებს აურჩევიათ, საშუალება მისცა ოპერატორებს მეტი მიმზიდველობა ჰქონოდა და ბუნებრივობა შეენარჩუნებინა ცალკეულ კადრებს.

ფილმის წარმატებას განსაზღვრავს აქტიორული შესრულება. ამ მხრივ „აბეზარაში" ბევრი რამ არის საინტერესო. პირველ რიგში აღსანიშნავია ლიას როლის შემსრულებელი, ჩვენი მაყურებლისათვის საკმაოდ ცნობილი „ჭრიჭინა", ამჟამად კი „აბეზარა" ლ. აბაშიძე. ჩვენ აქ „ჭრიჭინა" შემთხვევით როდი გავიხსენეთ. „აბეზარა" თავისი ხასიათით (შეუპოვრობა, დაუდგრომლობა) რამდენადმე ჩამოჰგავს „ჭრიჭინას". ამან ერთგვარად განსაზღვრა ის, რომ ლ. აბაშიძე ნაწილობრივ იმეორებს თავის ძველ აქტიორულ ხერხებს. მიუხედავად ამისა, მსახიობი გვაძლევს სახის ძირითადად ახალ, საინტერესო ჩანაფიქრს (სურათი ტუფის კარიერზე, სცენა „ნიშნობის" დროს, საუბარი დედასთან და სხვ.), რომელიც მის შემოქმედებითს ზრდაზე მეტყველებს.

მაყურებელმა ეკრანზე პირველად ნახა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი თ. მუშკუდიანი. სასიხარულოა, რომ მისი სახით ჩვენს კინოხელოვნებას შემატა ახალი, მზარდი და საიმედო ძალა. ამაზე მეტყველებენ მთელი რიგი საინტერესო კადრები. თ. მუშკუდიანმა დამაჯერებლად მიიტანა მაყურებლამდე მოწინავე სპეციალისტის, სპეტაკი ადამიანის გიორგის ხასიათი, გრძნობები და განცდები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. თბილელისა და ა. კვანტალიანის მიერ განსახიერებული ბაბუსიას და ანდროს როლები. ზომიერი იუმორი, შესრულების ბუნებრივობა იგრძნობა ყველა კადრში, სადაც ისინი გამოჩნდებიან. საინტერესო მხატვრულ სახეებს ქმნიან მსახიობები: ს. თაყაიშვილი (ცეცილია), ა. ჟორჟოლიანი (სანდრო), ა. ომიაძე (არქიტექტორი), ქ. დუგლაძე (თამარი), გ. გეგეჭკორი (ვახტანგი).

სცენარის მიხედვით შედარებით სქემატურია მინისტრის (ი. გვინჩიძე) და გიას (ვ. ფირცხალავა) როლები. მიუხედავად ამისა, მსახიობები მაინც აღწევენ შექმნან დასამახსოვრებელი სახეები.





ფილმს გააჩნია ზოგიერთი ნაკლი. მაგალითად, მხატვრულად არ არის დამაჯერებელი სცენები სამინისტროში, ბუნდოვანი და სქემატურია არქიტექტორთა დავა მშენებლობის უფროსთან პროექტების გამარტივების შესახებ, მეტად გაჭიანურებულია თხრობა კატებზე და, ბოლოს, მუსიკის ტექსტების მხატვრული დონე (ავტორი პ. გრუზინსკი) ყოველთვის ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე.

მიუხედავათ ამ ნაკლოვანებებისა, რეჟისორის, ოპერატორისა და აქტიორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესრულების საერთო ანსამბლურობა იმდენად ძლიერია, რომ მაყურებელს იტაცებს მძაფრი კომედიური სიტუაციები და ფერმკრთალდებიან ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებანი.

საერთოდ ახალი კომედია „აბეზარა" კინოსტუდია „ქართული ფილმის" საინტერესო ნაწარმოებია.

**გ. თათარიშვილი.**

* * *

**სურათებზე:** კადრები ფილმიდან „აბეზარა".

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის დილის სხდომაზე განახლდა განხილვა საკითხისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შეცვლის შესახებ იმ მიზნით, რომ გადიდდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამი ძირითადი ორგანოს — უშიშროების საბჭოს, ეკონომიური და სოციალური საბჭოსა და საერთაშორისო სასამართლოს წევრთა რიცხვი. განხილვა მიმდინარეობს რეზოლუციების რამდენიმე პროექტის საფუძველზე, რომლებიც შეიტანეს ლათინური ამერიკის ქვეყნების ჯგუფმა და ესპანეთმა.

გუშინ განიხილეს პირველი პროექტი — უშიშროების საბჭოს გაფართოების შესახებ.

პირველი გამოვიდა პოლონეთის წარმომადგენელი ი. კაც-სუხი, რომელმაც თქვა: ახლანდელმა ატმოსფერომ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შექმნილია დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს მოქმედებით, პოლონეთის დელეგაციას განუმტკიცა აზრი, რომ ახლა არ უნდა იქნას შეცვლილი წესდება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი დელეგატი, ლაპარაკობს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოში ადგილების სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპებზე, საქმით უხეშად არღვევს ამ პრინციპებს. ამის მკაფიო მაგალითი იყო ფილიპინების არჩევა ამ სესიაზე უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის ადგილზე, რომელიც გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთმა ქვეყანამ — იუგოსლავიამ.

ი. კაც-სუხიმ დამსწრეთა ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმას, რომ გარკვეული წრეები დაჟინებით ამბობენ უარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. დასასრულ პოლონეთის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი დელეგაცია ხმას მისცემს წესდების შეცვლის წინააღმდეგ.

საბერძნეთის წარმომადგენელმა პალამასმა მხარი დაუჭირა რეზოლუციის პროექტს, რომელიც შეიტანეს ლათინური ამერიკის ქვეყნებმა და ესპანეთმა. იგი ამართლებდა ახლანდელ აღმაშფოთებელ მდგომარეობას, როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს არა ჰყავთ თავიანთი წარმომადგენელი უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა შორის. საბერძნეთის დელეგატი ილაშქრებდა აგრეთვე უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომელმაც ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოების შემადგენლობის გადიდების საკითხში.

აღნიშნა რა, რომ წარმოდგენილ პროექტებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოების შემადგენლობის გადიდების შესახებ საქმე ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ზოგიერთი არსებითი დებულების გადასინჯვას, ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება არსებული სახით არის გულდასმით დაბალანსებული საერთაშორისო დოკუმენტი, რომელშიც ფორმულირებულია ორგანიზაციის ძირითადი ამოცანები და მიზნები. წესდება ასახავს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობის სისტემას, იგი ხელს უწყობს კაცობრიობისათვის ისეთი სასიცოცხლო ამოცანის განხორციელებას, როგორიც არის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მისი ახლანდელი სახით შეიძლება გახდეს ის დამაკავშირებელი საფუძველი, რომელიც საშუალებას მისცემს ოთხმოც სახელმწიფოს ნაყოფიერად ითანამშრომლონ ერთმანეთთან პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, კულტურული და სხვა პრობლემების გადაჭრაში, მიუხედავად ღრმა პრინციპული განსხვავებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ეკონომიურ სისტემასა და პოლიტიკურ წყობილებაში.

მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმატებით მოღვაწეობისათვის, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, საჭიროა, რომ წესდებას მტკიცედ იცავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფო, როგორც დიდი, ისე პატარა, როგორც ეკონომიურად მძლავრი, ისე სუსტად განვითარებული სახელმწიფოები. მხოლოდ ამ პირობით შეძლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჯეროვანი ავტორიტეტი მოიპოვოს და კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობაზე. თუ არ არის ეს პირობა, ე. ი. თუ მტკიცედ არ იცავენ წესდებას, წესდების ვერავითარი შესწორება ვერ მოგვცემს გარანტიას, რომ არ იქნება დარღვეული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ამა თუ იმ სახელმწიფოს სუვერენული უფლებები და შელახული მისი ინტერესები.

შეეხო რა მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ წარმატებით განახორციელოს მისთვის დაკისრებული ამოცანები, ხელს უშლიან მის ეფექტიან მოღვაწეობას, ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ ეს მიზეზებია არა წესდების ესა თუ ის ნაკლი, არამედ ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს უხეშად არღვევენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთ წევრს და უწინარეს ყოვლისა შეერთებულ შტატებს სულ უფრო და უფრო გადაჰყავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გზაზე, რომელსაც საერთო არა აქვს რა იმ პრინციპებთან, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ საერთაშორისო ორგანიზაციას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სულ უფრო ხდება იარაღი ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეების ხელში, რომლებიც ცდილობენ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია გადააქციონ თავიანთი იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღად. საქმე იქამდე მივიდა, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომ უშიშროების საბჭოში ადგილზე, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ეკუთვნით, უკანონოდ არჩეულ იქნა ამ სესიაზე ფილიპინები, რომელიც, როგორც ცნობილია, მრავალი ათასი კილომეტრით არის დაშორებული ევროპას. ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაშვებულია აშკარა დისკრიმინაცია მსოფლიოს დიდმნიშვნელოვანი რაიონის მიმართ.

წესდების ამ უხეშ დარღვევას ბოლო უნდა მოეღოს და მტკიცედ უნდა იქნას გარანტირებული აღმოსავლეთ ევროპის, ისევე როგორც სხვა გეოგრაფიული რაიონების ქვეყნების უფლება — იყვნენ წარმოდგენილნი უშიშროების საბჭოში უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი არამუდმივი წევრის სახით.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას, განაცხადა ვ. ვ. კუზნეცოვმა, მიაჩნია, რომ არ შეიძლება მხარი დავუჭიროთ წინადადებას მთავარი ორგანოების — უშიშროების საბჭოს, ეკონომიური და სოციალური საბჭოსა და საერთაშორისო სასამართლოს შემადგენლობის გადიდების შესახებ ისეთ პირობებში, როდესაც უხეშად ირღვევა ამ ორგანოებში ადგილების სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ.

შემდეგ ვ. ვ. კუზნეცოვი დაწვრილებით შეეხო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აღმაშფოთებელ დარღვევას უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის, სახელდობრ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, რომლის ნაცვლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილი უკავიათ ჩანკაიშელ ნაბოლარებს, რომლებიც ამერიკელთა ხიშტების მფარველობით მოკალათებული არიან კუნძულ ტაივანზე. მან მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს ბოლო მოუღონ წესდების უხეშ დარღვევას და აღადგინონ რაც შეიძლება მალე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხი, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, უდიდესი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხის გადაჭრის შემდგომი გადადება შეუწყნარებელია, რადგან ეს სულ უფრო უარყოფით გავლენას ახდენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთო მოღვაწეობაზე, ხელს უშლის რა იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია მთლიანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის განვითარება და გაუმჯობესება.

საბჭოთა დელეგაციას შეუწყნარებლად მიაჩნია, თქვა დასასრულ ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომ განხილვა წესდების შეცვლის საკითხისა, რათა გადიდდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი ორგანოების წევრთა რიცხვი, მიმდინარეობდეს ისე, რომ ამ საქმეში მონაწილეობას არ იღებდეს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მიაჩნია, რომ სანამ განვიხილავდეთ საკითხს წესდებაში შესწორებათა შეტანის შესახებ, უნდა გამოსწორდეს უდიდესი უსამართლობა და აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. როდესაც ეს მოხდება, საბჭოთა კავშირი მზად იქნება დათანხმდეს უშიშროების საბჭოს, ეკონომიური და სოციალური საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების წევრთა რიცხვის გადიდებაზე. ამასთან იგულისხმება, რომ ჯეროვნად იქნება დაცული ევროპისა და აზიის შესაბამისი გეოგრაფიული რაიონების, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რაიონის უფლებანი — იყოლიონ თავიანთი წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ძირითად ორგანოებში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოსვლით დამთავრდა ასამბლეის 17 დეკემბრის დილის სხდომა. განხილვა გაგრძელდება დღის სხდომაზე.

# ამერიკის დაზვერვის ძირგამომთხრელი საქმიანობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ

ბერლინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). მშვიდობისა და სოციალიზმის მტრებმა უკანასკნელ ხანს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ გააჩაღეს გააფთრებული პროვოკაციულ-ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც იმ ძირგამომთხრელი საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა, რასაც იმპერიალისტური ძალები სოციალისტური ქვეყნების მიმართ ახორციელებენ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ამ კამპანიას წინ უძღოდა ხანგრძლივი, გეგმაზომიერი მტრული საქმიანობა. მაგალითად, მარტო 1955 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანილი იყო დასავლეთის სხვადასხვა ძირგამომთხრელი ცენტრების 11 მილიონი ფურცელი. ფურცლებს ყრიან საჰაერო ბურთებით, გზავნიან ფოსტით ან მათ დაქირავებული აგენტები ავრცელებენ. 1955 წლის 1 იანვრიდან 1956 წლის 28 იანვრამდე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იყო 7.000-ზე მეტი საჰაერო ბურთი ფურცლებით, ცეცხლგამჩენი საშუალებებით, რადიოზონდებით და სხვა საგნებით „ცივი ომის“ სტრატეგების არსენალიდან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობისათვის ხშირად ცნობილი არიან დანაშაულებრივი ძირგამომთხრელი საქმიანობისა და პროპაგანდის მხოლოდ შემსრულებლები და არა მისი სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები. მაგრამ უნგრეთის ამბები, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოეთის, უმთავრესად ამერიკის დაზვერვათა აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობა შუქს ჰფენს იმ ფარულ ძალებსაც, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავთ აგენტების, დივერსანტების, დაქირავებული მკვლელების, წვრილი და მსხვილი მესაბოტაჟეების ბნელი ლაშქარი.

საქმე ეხება ამერიკის დაზვერვის ორგანოებს, რომლებიც დამკვიდრდნენ დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში, აგრეთვე მრავალ ძირგამომთხრელ ორგანიზაციას, რომლებიც მათი მითითებით და მათი ფულით მოქმედებენ.

უკანასკნელ ხანს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მხილებულ იქნა უცხოეთის, უმთავრესად ამერიკის დაზვერვის ბევრი აგენტი. მრავალი აგენტი დაპატიმრებულია და მიცემულია სამართალში, სხვები ნებაყოფლობით გამოცხადდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყების პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ოქტომბრის ბოლოს გაიმართა ბერლინში, ნათქვამი იყო, რომ უკანასკნელ ხანს 73 დაპატიმრებული აგენტიდან დიდი უმრავლესობა ამერიკის დაზვერვის სამსახურში იყო. ეს დაადასტურეს პრეს-კონფერენციაზე გამოსულმა აგენტებმა — ვ. დეფკემ, გ. იოზესმა და ფონ ივენმა. მათი ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ ამერიკის დაზვერვა არ თაკილობს არავითარ საშუალებას როგორც აგენტების შესაგროვებლად, ისე თვით ძირგამომთხრელი საქმიანობის განსახორციელებლად. მაგალითად, ვ. დეფკე ამერიკის დაზვერვამ გადაიბირა დაპირებისა და უხეში, ცინიკური მუქარის საშუალებით. ამერიკის დაზვერვის სი-აი-სის მეთაურები აქეზებდნენ მას გაევრცელებინა ჯაშუშური საქმიანობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — პოლონეთსა და უნგრეთში.

ამას წინათ დრეზდენში გამართულ სასამართლო პროცესზე ამერიკის დაზვერვის სამმა აგენტმა — გ. შტრიკერმა, მ. პლაზამ და ი. სკობრანეკმა ილაპარაკეს ამერიკის დაზვერვის დავალებით თავიანთ ძირგამომთხრელ საქმიანობაზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ. გასამართლებისას აღინიშნა, რომ 1954 წლის დამდეგიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაპატიმრებული იყო 92 აგენტი, რომლებიც აპირებდნენ შესულიყვნენ პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. მაგალითად, მსჯავრდადებულმა აგენტმა რ. შტრიკერმა ერთ დროს გერმანია-პოლონეთისა და გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვართან მიიყვანა ამერიკის დაზვერვის რამდენიმე აგენტი. მ. პაზამ და ი. სკობრანეკმა დასავლეთ გერმანიაში ამერიკის მზვერავთა ხელმძღვანელობით გაიარეს სპეციალური წვრთნა და ემზადებოდნენ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ჯაშუშური საქმიანობისათვის.

უცხოეთის დაზვერვათა, უმთავრესად ამერიკის დაზვერვის აგენტების ჯგუფმა — გ. მარკარდტმა, ე. ზეებრუხმა, ჰ. ჰერტინგმა, გ. ელსნერმა და ფ. ტორბომმა, რომლებიც ნოემბრის დამდეგს ნებაყოფლობით გამოცხადდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, აღიარეს, რომ მათი ამოცანა იყო როგორც ჯაშუშური საქმიანობა, ისე პირდაპირი პროვოკაციების მომზადება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ამერიკის სადაზვერვო ორგანოებმა უკანასკნელ ხანს განავითარეს საქმიანობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კონტრრევოლუციური ამბოხების მოსამზადებლად. ამერიკის დაზვერვის ხელმძღვანელი დასავლეთ ბერლინში ვალტერი მითითებებს აძლევდა თავის თანამშრომლებს გამოერკვიათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აგენტთა ბინებში იარაღის, ფეთქებადი ნივთიერებებისა და რადიოაპარატურის შენახვის შესაძლებლობა.

ამერიკის დაზვერვის სამსახურში არიან არა მარტო პირწმინდა ამერიკული ორგანიზაციები და დაწესებულებანი, როგორიც არიან რადიოსადგურები „თავისუფალი ევროპა“, რიასი და მათი მსგავსნი, არამედ აგრეთვე დასავლეთ ბერლინისა და დასავლეთ გერმანიის ბევრი ჯაშუშურ-მესაბოტაჟე ორგანიზაცია, ისეთები, როგორიც არიან დასავლეთ ბერლინის ეგრეთწოდებული „არაადამიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფი“, „თავისუფალ იურისტთა საგამომძიებლო კომიტეტი“, „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღმოსავლეთის ბიურო“ და სხვები. მარტო დასავლეთ ბერლინში ითვლება 80-ზე მეტი ასეთი ჯაშუშური ცენტრი, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით აქტიურ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა ეგრეთწოდებული „არაადამიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფი“ ამერიკის ნაცადი აგენტის ე. ტილიხის მეთაურობით. ეს ჯაშუშური ორგანიზაცია ამერიკის დაზვერვის სამსახურში რომ არის, ამას საუკეთესოდ ამტკიცებს ტილიხის ა. წ. 10 და 11 სექტემბრის გამოსვლა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისიის სხდომაზე. ცნობები, რომლებიც ამ სხდომაზე ტილიხმა გამოაქვეყნა, არის პირწმინდა ჯაშუშური ინფორმაცია სამხედრო-ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებზე, რომლებიც ეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის მთელი რიგი ქვეყნების ცხოვრებას. ტილიხმა შეიტანა წინადადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის შემდგომი განვითარების შესახებ. ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევმა კომისიამ მოიწონა ტილიხის წინადადებანი „წინააღმდეგობისათვის დახმარების“, ე. ი. ძირგამომთხრელი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ და განაცხადა, რომ ამ წინადადებებს გაითვალისწინებენ და მხარს დაუჭერენ.

განსაკუთრებით გაცხოველებული საქმიანობა „არაადამიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფმა“ ტილიხის მეთაურობით გააჩაღა უნგრეთში კონტრრევოლუციური აჯანყების უშუალოდ წინ და აჯანყების დღეებში. ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი ორგანიზაციების მეთაურებმა, განსაკუთრებით ტილიხმა, რომლებიც აღფრთოვანებული იყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის შედეგით, განიზრახეს მოეწყოთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში „საყოველთაო გაფიცვა“. ისინი ემზადებოდნენ განეხორციელებინათ ეს პროვოკაციული წამოწყება და იმედი ჰქონდათ, რომ განზრახული „გაფიცვა“ შეიძლებოდა გადაექციათ იმის მსგავს კონტრრევოლუციურ ამბოხებად, რომლის მოწყობაც უნგრეთში მოხერხდა. მაგრამ მტრის ეს გეგმები სავსებით ჩაიფუშა.

ისევე როგორც „არაადამიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფი“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აქტიურ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ეგრეთწოდებული „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღმოსავლეთის ბიურო“, რომელიც აგრეთვე ამერიკის დაზვერვის სამსახურშია. მაგალითად, ყოფილმა აგენტმა ვერნერ ექნიგმა, რომელმაც ნებაყოფლობით გაწყვიტა კავშირი ჯაშუშურ საქმიანობასთან, განაცხადა, რომ ამერიკის დაზვერვაში სამუშაოდ იგი გადაბირებულ იქნა „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღმოსავლეთის ბიუროს“ შუამდგომლობით.

გამხრწნელი საქმიანობა ამერიკის დაზვერვისა და მის სამსახურში მყოფი სხვადასხვაგვარი ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციებისა, რომლებიც დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის ტერიტორიაზე მოქმედებენ, იწვევს არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელების, არამედ აგრეთვე გერმანელი ხალხის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების პროტესტს.

# დ. ტ. შეპილოვი და გ. კ. ჟუკოვი მოსკოვს გამოემგზავრნენ

ვარშავა, 18 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ვარშავიდან სამშობლოში გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პოლონეთში დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის მოლაპარაკებასა და ხელშეკრულების ხელმოწერაში.

ვარშავის აეროდრომზე დ. ტ. შეპილოვი და გ. კ. ჟუკოვი გააცილეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. რაპაცკიმ, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა დივიზიის გენერალმა მ. სპიხალსკიმ, ფინანსთა მინისტრმა ტ. დიტრიხმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეროვნული თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, პოლონეთის ჯარის გენერლებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

დ. ტ. შეპილოვი და გ. კ. ჟუკოვი გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა პოლონეთში ვ. ა. კარპოვმა და საელჩოს თანამშრომლებმა.

* * *

იმავე დღეს ამხანაგები დ. ტ. შეპილოვი და გ. კ. ჟუკოვი დაბრუნდნენ მოსკოვში.

# მდგომარეობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 17 დეკემბერი. (საკდესი). უნგრეთის ყველა საწარმო თანდათან ნორმალურად მუშაობს. დღეს უნგრეთის ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდა უკვე წარმოებაში ყველა დასაქმებულთა დაახლოებით 95 პროცენტი. სულ უფრო მზარდი რაოდენობით უშვებენ პროდუქციას ჩეპელის ქარხნები, მიშკოლცისა და ბოროშოდის მეტალურგიული საწარმოები, დიერისა და დებრეცენის მანქანათმშენებელი ქარხნები, დუნაპენტელეს, პეჩის, სოლნოკისა და სხვა ქალაქების მეტალურგიული და მანქანათმშენებელი საწარმოები.

თანდათანობით უმჯობესდება ქვანახშირის მრეწველობის მუშაობა. მეშახტეები ყოველდღე იღებენ 1.500-2.000 ვაგონ ქვანახშირს. უკანასკნელ დღეებში ყოველ დღე-ღამეში იღებენ 20-25 ათას ტონა ქვანახშირს. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ცდილობენ მთელი ძალებით დაეხმარონ მეშახტეებს მიაღწიონ ქვანახშირის ამოღების წინანდელ დონეს.

ბუდაპეშტის ქუჩებში გამოდის სულ უფრო მეტი ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი. თითქმის ორი თვის შეწყვეტის შემდეგ მუშაობა განაახლა ბუდაპეშტის ბევრმა თეატრმა. მაგალითად, გუშინ სპექტაკლები გაიმართა ოპერეტის, სახალხო არმიის, სახელმწიფო თოჯინების თეატრებსა და სხვა თეატრებში.

ფართოვდება სამშენებლო სამუშაოთა მასშტაბი დედაქალაქის ქუჩებში, რომლებიც ამბოხების დროს დაზარალდა. მთელი რიგი დაზიანებული ბინები უკვე წესრიგზეა მოყვანილი და შიგ წინანდელი მობინადრეები ჩასახლდნენ.

კონტრრევოლუციური ელემენტები მთელ რიგ შემთხვევებში ჯერ კიდევ ცდილობენ ააფორიაქონ მოსახლეობა პანიკური და ცილისმწამებლური ხმებით, მაგრამ ყველა პატიოსანი პატრიოტი მტკიცე წინააღმდეგობას უწევს მათ.

# იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 17 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც აირჩია პარტიის ხელმძღვანელობა და სამდივნო. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთსულოვნად კვლავ არჩეულ იქნა პალმირო ტოლიატი, მდივნის მოადგილედ — ლუიჯი ლონგო.

პარტიის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში შევიდნენ: პალმირო ტოლიატი, ლუიჯი ლონგო, მარიო ალიკატა, ჯორჯო ამენდოლა, არტურო კოლომბი, ჯუზეპე დი ვიტორიო, ჯუზეპე დოცა, პიეტრო ინგრაო, ჯიროლამო ლი კაუზი, აგოსტინო ნოველა, ჯან კარლო პაიეტა, ჯაკომო პელეგრინი, ანტონიო როაზიო, ლიუჩანო რომანიოლი, ემილიო სერენი, ველიო სპანო, უმბერტო ტერაჩინი.

ხელმძღვანელობის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე მაურო სკოჩიმარო.

სამდივნოს შემადგენლობაში არჩეული არიან: ტოლიატი, ლონგო, ჯორჯო ამენდოლა, პიეტრო ინგრაო, ჯან კარლო პაიეტა, ენრიკო ბონაცი, პაოლო ბუფალინი.

## საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა



რუსთავი. (საკ. კორ.). 16 დეკემბერს რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში გაიხსნა საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებთა მოძრავი გამოფენა, რომლის მიზანია საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიღწევათა ფართო პოპულარიზაცია. აქ წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ხელოვნების ცნობილი ოსტატების ნამუშევრები — ფერწერის, გრაფიკისა და სკულპტურის 130-ზე მეტი საუკეთესო ნიმუში.

გამოფენა პირველად დაღესტნის ასს რესპუბლიკაში — ქალაქ დერბენტში გაიხსნა, მუშაობა განაგრძო ბაქოსა და კიროვაბადში, რუსთავის შემდეგ გამოფენას უჩვენებენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში.

პირველსავე დღეს გამოფენა მეტალურგთა ქალაქის მრავალმა მშრომელმა დაათვალიერა. მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა მძიმე ინდუსტრიის თემაზე შექმნილმა სახვითი ხელოვნების ნიმუშებმა.

შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი საყურადღებო შენიშვნა ჩაიწერა. მარტენის საამქროს ნოვატორი მეფოლადე ა. ფანცულაია წერს: „საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებთა მოძრავი გამოფენის გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენაა რუსთავის ცხოვრებაში. ეს გამოფენა ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა ხელოვნების მუშაკთა შესანიშნავ მიღწევებს. პირადად მე განსაკუთრებით მომეწონა ფერწერის შემდეგი ნიმუშები: ნ. გვოზდევის „ვ. ი. ლენინი მარქსისტულ წრეში“, ს. გრიგორიევის „კომკავშირში მიღება“, ვ. რუშტეინის „მშობლიურ სკოლაში“ და მ. კოსტინის „ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ ცნობილი მეფოლადე გუსაროვი“.

სურათზე: კონსულტანტი მარინა ქებრუნი გამოფენის დამთვალიერებლებს ესაუბრება მოსკოველი მხატვრის ირინა შევანდრონოვას ნახატზე — „სოფლის ბიბლიოთეკაში“.

ფოტო შ. გოქაძისა.

# ქართველ მოჭადრაკე ქალთა წარმატება

ამ დღეებში დნეპროპეტროვსკიდან თბილისში დაბრუნდნენ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მოჭადრაკე ქალები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ XVIII საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ასპარეზობაში.

აი რა გვიამბო ამ შეხვედრათა, კერძოდ საქართველოს მოჭადრაკეთა წარმატების შესახებ მწვრთნელმა ვ. ქარსელაძემ:

— ჩვენ სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში საჭადრაკო ხელოვნება აღმავლობის გზაზე დგას. ამაზე ნათლად მეტყველებს სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა მიერ მოპოვებული შედეგები, მათი თამაშის მრავალფეროვნება, მტკიცე ნებისყოფა, დაოსტატება.

ის ფაქტი, რომ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში საქართველოდან მონაწილეობას იღებდა სამი მოჭადრაკე, ხოლო ოსტატმა გურგენიძემ XXIV საკავშირო პირველობის დასკვნით შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, ცხადყოფს იმ ნაყოფიერ მუშაობას, რაც ახალგაზრდა მოჭადრაკეთა, კერძოდ მოსწავლეთა შორის მიმდინარეობს.

საქართველოს მოჭადრაკე ქალები — ელისო კაკაბაძე, ნონა გაფრინდაშვილი და მანანა ტოგონიძე მოწინავე სპორტსმენები არიან. ეს მოჭადრაკეები შევიდნენ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

ეჭვს გარეშეა, რომ მათი სპორტული მაჩვენებლები საპატიოა. აქ ხაზი უნდა გავუსვა ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა თამაშის აქტიურ სტილს, შემოქმედებით ბრძოლას, ნებისყოფას, შეუპოვრობას, რაც თან სდევდა მათი პარტიების უმრავლესობას.

პირველთანრიგოსანი კაკაბაძის შემოქმედებითმა და ლამაზმა კომბინაციურმა თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ აქ ლაპარაკი მარტო იმაზე როდი გვაქვს, რომ მან 11 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა. კაკაბაძემ ამასთანავე თავისებური რეკორდი დაამყარა „დამატებითი“ პრიზების მიღებაში. ეს პრიზებია უკეთესი შედეგებისათვის ოსტატებთან შეხვედრაში (3,5 ქულა 6-დან), პირველთანრიგოსანთა შორის მეტი მოგებისათვის (8), უკანასკნელ ხუთ ტურში მოპოვებული უკეთესი შედეგისათვის (4 ქულა). მოსალოდნელია რომ ჟიურის გარჩევის შემდეგ კაკაბაძე აგრეთვე მიიღებს პრიზს უკეთესი პარტიისათვის.

სპორტის მოყვარულები ალბათ 15 წლის ნონა გაფრინდაშვილისაგან და ტოგონიძისაგან, რომლებმაც ზატულოვსკაიასთან ერთად გაიყავეს მეშვიდე, მერვე და მეცხრე ადგილები, უკეთეს შედეგებს მოელოდნენ. ვფიქრობ, რომ მცირე პრაქტიკის მქონე ახალგაზრდებისათვის ასეთ დიდ ასპარეზობაში მიღწეული ეს შედეგი დამაკმაყოფილებელია. ამ მოჭადრაკეებში არის ძლიერი ნებისყოფა და ჭადრაკისადმი უსაზღვრო სიყვარული, რაც იმის საწინდარია, რომ ისინი როგორც მოჭადრაკენი კიდევ უფრო გაიზრდებიან მომავალ ჩემპიონატებში.

# ნახევარფინალური შეჯიბრების დახურვა

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში დაიხურა სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობა. მოეწყო 20 უძლიერესი მოჭადრაკის ელვისებური ტურნირი. პირველი ადგილი დაიკავა პეტროსიანმა.

ნახევარფინალური ასპარეზობის დახურვისადმი მიძღვნილ საღამოზე გამოცხადებულ იქნა შეჯიბრების საბოლოო შედეგები.

გამარჯვებულებს წარმატება უსურვეს.

დღეს, საღამოს 9 საათზე, სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლში (ჩოდრიშვილის შესახვევი № 8) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის, ვაჭრობის სამმართველოს უფროსის, საზოგადოების წევრის შ. საბანაძის საჯარო ლექციას თემაზე: „საბჭოთა ვაჭრობის ამოცანები მეექვსე ხუთწლედში“.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

## საქართველოს რადიო-გადაცემათა პროგრამა 20 დეკემბრისათვის

### პირველი პროგრამით

**რადიოსადგურებით 1571, 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით**

06.30 — ქართული საბალეტო მუსიკა, 07.40 — „პიონერთა დაფიონი“, 08.20 — ნაწყვეტები როსინის ოპერებიდან, 12.15 — საფორტეპიანო ნაწარმოებები, 12.45 — სიმღერები გიორგი ბუღაძის შესრულებით, 17.20 — ვიქტორ დოლიძის სიმფონიური ფანტაზია „ივერიადა“, 17.45 — საუბარი: „რუსი სოციალ-დემოკრატები საქართველოში XIX-ს. დამლევსა და XX ს. დასაწყისში“, 18.15 — მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა კონცერტი, 19.20 — კონცერტი შალვა მშველიძის ნაწარმოებებიდან, 19.40 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — ლირიკული სიმღერები, 20.30 — ქართული ხალხური სიმღერები.

**რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით**

21.00—საესტრადო წარმოდგენა „საოჯახო საქმეები“.

### მეორე პროგრამით

**რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე**

21.00 — მუსიკალურ-საგანმანათლებლო გადაცემა „კომპოზიტორი კაბალევსკი“, 22.00 — გადაცემა ციკლიდან „ახალი წიგნები“, 22.20 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი.

**რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე**

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00— გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

## დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ტრავიატა (დ. გამრეკელის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის** — ფილოსოფიის დოქტორი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ქალიშვილები, **გრიბოედოვის სახელობის** — ხეები კვდებიან ზეზეულად, **სომხური დრამის** — ნამუსი, **მუსიკალური კომედიის** — სამი პატარძალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოჯახი (აბონემენტი № 23, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — დათუნიას სამართალი (10 ს. და 4 ს.).

**საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია** აცხადებს ყველა დაწესებულების, საწარმოს, სასწავლებლის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, რომ სპეციალური დებულების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის უსაგზუროდ აკრძალულია მსახიობების, მასობრივი მომუშავეების და აკორდეონისტების მიწვევა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია 25 დეკემბრამდე იღებს განცხადებებს **საახალწლო ნაძვისხის მოსაწყობად** მსახიობების, მასობრივი მომუშავეების და აკორდეონისტების მიწვევის შესახებ.

მისამართი: პლეხანოვის პროსპ. № 123, საკონცერტო-ოპერატიული განყოფილება, ტელეფონი 3-95-86, 3-18-50.

დედა ნინო, მეუღლე ლენა, შვილები ნათელა, ლალი, ძმა ილია, დები მაშა, თინათინ იუწყებიან

**გრიშა ქუზუს-ძე სახოკიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-XII, 8 ს. გამოსვენება 20-XII, 3 ს. ლისის ქ. № 2 (საბურთალო).

მოქალაქე **ზაქარია ზაქარიას-ძე მჭედლიშვილმა**, მცხოვრებმა მთისძირის ქ. № 63, აღძრა საქმე კაკაბეთის ქ. № 12 მცხოვრებ მოქალაქე **ნინო სიმონის ასულ მჭედლიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი ზაქარიას-ძე გოგინაშვილმა**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, არაყიშვილის ქ. № 7, აღძრა საქმე გარეუბნის რაიონის სოფელ ბაგებში მცხოვრებ მოქალაქე **მერი ივანეს ასულ კახელიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თბილისის სასწავლო საწარმოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

**სევერიანე ფრიდონის-ძე ცინცაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-XII, 8 ს. გამოსვენება 20-XII, 4 ს. შეროზიას ქ. № 11.

მეუღლე ელენე, შვილები სტეფანე, სერგო, ანიკო, ემა, სიძეები ე. ოქროევი, ა. ავეტისოვი ოჯახებით იუწყებიან

**ალექსანდრე ლევანის-ძე კანანოვის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-XII, 7 ს. გამოსვენება 20-XII, 3 ს. ჩაისუბნის ქ. № 6.

ქ. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის VIII³ კლასის მოსწავლეები იუწყებიან ამავე კლასის მოსწავლის

**თეიმურაზ გიორგის-ძე ჩლაიძის**

გარდაცვალებას.

ძმები პეტრე და გიორგი ქემერტელიძეები ოჯახებით იუწყებიან

**მატრონა გარსევანის ასულ ქემერტელიძე-ბარბაქაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XII სოფელ მერჯევში (საჩხერის რ.).

რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ნერვების სნეულებათა კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან

**ივანე გიორგის-ძე ბასილიძის**

გარდაცვალებას.

უე 06391 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.